პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 221 (20562) ✦ შაბათი, 23 სექტემბერი, 1989 წელი. ✦ ფასი 3 კაპ.

# მ. ს. გორბაჩოვის საბოლოო სიტყვა

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1989 წლის 20 სექტემბერს

ნება მიბოძეთ მოკლედ შევაჯამო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ პლენუმზე გამოტანილ საკითხთა განხილვის შედეგები. ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ეს პლენუმი მახნზე განხილულ საკითხთა ხასიათითაც და ატმოსფეროთიც, რომელიც აქ სუფევდა ამ ორი დღის მანძილზე, იმას ამახურებს, რომ

სადაც არსებობს დაძაბულობა ეროვნებათშორის ურთიერთობაში, დარღვეულია ნორმალური შრომითი რიტმი.

უნდა ვიმოქმედოთ მტკიცედ, ამას ყველა ეთანხმება. მაგრამ, მგონია, და ნება მიბოძეთ ამაზე ცოტა შევჩერდე, ყველას ერთნაირად როდი ესმის, თუ რა არის სიმტკიცე. ზოგჯერ ამ სიტუაციაში

რომ ცენტრალურ კომიტეტს ესმის თავისი როლი საზოგადოებაში დიდი ცვლილებების ეტაპზე. ეს მინდა აღვნიშნო, როგორც მნიშვნელოვანი მონაპოვარი, იმიტომ, რომ ცენტრალური კომიტეტის პოზიციაზე, იმაზე, რაც მასში ხდება, ბევრად არის დამოკიდებული, თუ როგორ წავა საქმეები პარტიაში, მთელ საზოგადოებაში.

ებს, დამოუკიდებლობას, ვიწყებთ რა დეცენტრალიზაციის პროცესებს, რათა გამოვიყენოთ ადამიანთა ენერგია, ყველა ხალხის ძალისხმევა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში, ამავე დროს ჩვენ იმით ვხელმძღვანელობთ, რომ პარტიამ კიდევ უფრო მეტად უნდა შეასრულოს მაკონსოლიდირებელი როლი,

მორიგი ყრილობის მოწვევა. იგი ნაკარნახევია იმისათვის ზრუნვით, რომ უფრო სწრაფად გადავწყვიტოთ თვით პარტიის განვითარების, მისი განახლების მომწიფებული საკითხები და ამავე დროს შევაჯამოთ გარდაქმნის შედეგები, შევიმუშაოთ უახლოესი პერსპექტივისათვის მოქმედების პროგრამა. აქ ამხანაგებმა თქვეს,

სათვის გამიზნულ პრაქტიკულ საქმეებზე. ვხედავთ სიტუაციის მთელ სირთულეს ქვეყანაში, გადამწყვეტი ზომების მიღების საჭიროებას, რათა უზრუნველვყოთ ვითარების ნორმალიზაცია იქ,

წარსულში, ვაწყდება „უძრაობის" გზაზე, არც იმათ, ვინც პოლიტიკისა და სერიოზული საქმეების ნაცვლად ავანტიურისტულ კონცეფციებს გვთავაზობს.

ახლანდელი პლენუმი მოწმობს,

საშუალება მოგვცა უკეთ გაგვეგო აქ არსებული დიალექტიკური კავშირი. ვაფართოებთ რა რესპუბლიკების, რეგიონების, ავტონომიური ფორმირებების პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებ-

ხასიათებელი მეთოდებით — პოლიტიკური, იდეოლოგიური, ორგანიზატორული მეთოდებით, სწორი საკადრო პოლიტიკით.

ვიტყვი პლენუმის იმ გადაწყვეტილებაზე, რომ მოაახლოოს სკკპ

პლენუმი ახალ იმპულსს მიანიჭებს პარტიული ორგანოების, ყველა კომუნისტის საქმიანობას ამ პასუხსაგებ ხანაში, როცა ჩვენ ვებებით მორიგ პარტიულ ყრილობას.

## სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის 1989 წლის 20 სექტემბრის დადგენილება

### სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის პროკურატურაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის განცხადების განხილვის თაობაზე სსრ კავშირის გენერალური პროკურორის შეტყობინების შესახებ

1. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ცნობად იღებს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ა. ი. სუხარევის შეტყობინებას სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის პროკურატურისათვის გაგზავნილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, ცენტრალური კომიტეტის მდივნის ი. კ. ლიგაჩოვის განცხადების განხილვის შესახებ. სსრ კავშირის პროკურატურამ კანონის შესაბამისად მოიყვო გამომძიებლების ტ. ხ. გდლიანისა და ნ. ვ. ივანოვის მიერ ი. კ. ლიგაჩოვის წინააღმდეგ წაყენებული მექრთამეობის მტკიცებების გამოძიება და ცხადყო ამ მტკიცებათა სრული უსაფუძვლობა. სსრ კავშირის პროკურატურის დასკვნით, საქმე ეხება თვით ხდომილების არარსებობას.

2. ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტს ავალებს განიხილოს ტ. ხ. გდლიანისა და ნ. ვ. ივანოვის პარტიული პასუხისმგებლობის საკითხი სსრ კავშირის პროკურატურის დასკვნების შესაბამისად.

## სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა

21 სექტემბერს გაიმართა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის სხდომა. ყოველმხრივ განიხილეს გაზეთების „სოვეტსკაია როსიას" და „სტროიტელნაია გაზეტას", ჟურნალების „პარტიინაია ჟიზნ"-ის, „აგიტატორ"-ის რედაქციებში შესულ მშრომელთა წერილებზე, განცხადებებსა და საჩივრებზე მუშაობის მდგომარეობა.

სხდომის მონაწილეებს წინასწარ გააცნეს რედაქციებში შემოწმების შედეგები. ამან ხელი შეუწყო აზრთა ფართო კონსტრუქციულ გაზიარებას. გამოსულებმა ილაპარაკეს იმაზე, რომ გარდაქმნის პირობებში გაიზარდა ადამიანთა აქტიურობა და მომთხოვნელობა, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობა. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ცენტრალური პარტიული გამოცემების რედაქციებში მშრომელთა მიმართვების რაოდენობა.

გამოსულებმა აღნიშნეს სარედაქციო კოლექტივების საქმიანობაში მომხდარი დადებითი ცვლილებები და ამავე დროს თქვეს, რომ მშრომელთა წერილებსა და მიმართვებზე მუშაობაში ძირეული გაუმჯობესება არ მომხდარა. რედაქციები ჯერ კიდევ სუსტად თანამოქმედებენ მკითხველებთან, საკმარისად არ ასახავენ საზოგადოებრივ აზრს ქვეყნის ცხოვრების მთელ რიგ აქტუალურ საკითხებზე. ყველგან არ არის მოგვარებული მჭიდრო კავშირურთიერთობა ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებთან.

განხილვის შედეგები შეაჯამა სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ე. ა. ნიზოვცევამ. მან აღნიშნა, რომ საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების განახლებისა და დემოკრატიზაციის პირობებში მასებთან პარტიის ურთიერთობის განმტკიცებას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. დღეს განსაკუთრებით საჭიროა მშრომელთა მიმართვებზე მუშაობის ლენინური ტრადიციების აღდგენა. განსაკუთრებით საჭიროა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გამოიყენონ მკითხველთა ფოსტა ადამიანთა საზოგადოებრივი აქტიურობის გაძლიერებისათვის, საჯაროობის განვითარებისათვის.

სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე ინფორმაცია, თუ როგორ ასრულებენ სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრები მათთვის მიცემულ დავალებებს.

(საქინფორმი).

## შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

21 სექტემბერს მ. ს. გორბაჩოვი სკკპ ცენტრალურ კომიტეტში შეხვდა პარტიის ცენტრალური არჩევითი ორგანოების შემადგენლობაში შემავალ, მუშათა და კოლმეურნეთა დიდ ჯგუფს. გაიმართა გულახდილი, საფუძვლიანი საუბარი ფართო წრის პრობლემებზე, რომლებიც დღეს აწუხებს მშრომელ კაცს, პარტიულ ორგანიზაციათა საქმიანობის საკითხებზე. საუბარში მონაწილეობდნენ ნ. ნ. სლიუნკოვი და გ. პ. რაზუმოვსკი, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილებათა გამგეები. შეხვედრის შესახებ ანგარიში — დამატებით.

(საქინფორმი).

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

21 სექტემბერს კრემლში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მ. ს. გორბაჩოვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც 25 სექტემბერს იხსნება. მოიწონეს სესიის მუშაობის დღის წესრიგი და წესი.

იმასთან დაკავშირებით, რომ სსრ კავშირის მთავრობამ წარმოადგინა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1990 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1990 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომელთა გამო გამოვიდა ი. დ. მასლიუკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ეს პროექტები, აგრეთვე 1988 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიში განსახილველად გადასცეს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს. პალატების მუდმივ კომისიებსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს დაევალათ წინასწარ განიხილონ ეს პროექტები და წარუდგინონ უმაღლეს საბჭოს თავიანთი დასკვნები.

კავშირის საბჭოს საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო კომისიის თავმჯდომარის ვ. გ. კუჩერენკოს ცნობით, მოწონებულია 1990 წლის გეგმისა და ბიუჯეტის წინასწარი განხილვისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებისა და პალატების მუდმივი კომისიების მუშაობის წესი.

მოისმინა რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. ლუკიანოვის მოხსენება, პრეზიდიუმმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს და მისი პალატების კომისიებს დაავალა წინასწარ განიხილონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შეტანილი პროექტები სსრ კავშირის კანონებისა სსრ კავშირში საკუთრების შესახებ, სსრ კავშირის ერთიანი საგადასახადო სისტემის შესახებ, სოციალისტური საწარმოს შესახებ, „სსრ კავშირში კოოპერაციის შესახებ" კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, სსრ კავშირში მიწის შესახებ არენდისა და საარენდო ურთიერთობის შესახებ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძვლების პროექტები.

განიხილეს სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1989 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში სსრ კავშირის კანონმდებლობის სრულყოფის პირველი რიგის ღონისძიებათა საკითხი.

პრეზიდიუმმა განიხილა ცენტრში და ადგილებზე სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა ყრილობის, მისი ორგანოების, სახალხო დეპუტატების საქმიანობის გაშუქებისათვის პრესის მუშაობის გაუმჯობესების საკითხი. ამ მიზნით გადაწყვეტილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ჟურნალი „სოვეტი ნაროდნიხ დეპუტატოვ" გადაკეთდეს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, საპრობლემო-საინფორმაციო ჟურნალად „ნაროდნი დეპუტატ" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გამოცემად. ჟურნალის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარედ დამტკიცებულია ე. მ. პრიმაკოვი.

საბჭოთა ფედერაციის ლენინური იდეების პროპაგანდისა და განვითარებისათვის მიზანშეწონილად ცნეს 1990 წლის იანვრიდან გამოიცეს ყოველკვირეული „სოიუზი" — გაზეთის „იზვესტია სოვეტოვ ნაროდნიხ დეპუტატოვ სსსრ" დანართი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე განიხილეს აგრეთვე სახელმწიფო ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხი. (საქინფორმი).

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# პროგრესის გზა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის უზრუნველყოფისათვის საქართველოს კომპარტიის გურჯაანისა და ხობის რაიკომების ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის საკითხი. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ აღნიშნული პარტიის რაიკომები იწევიან გარკვეულ მუშაობას ამ მიმართულებით,

ების ფართოდ დანერგვის ბაზაზე საკმაო რაოდენობის სურსათის შექმნის საჭიროების შესახებ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნებს. აქ ჯერ კიდევ არ შეუმუშავებიათ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა და მოწინავე გამოცდილების დანერგვის კომპლექსური პროგრამა არა მარტო მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის, არამედ წამყვანი დარგების — მევენახეობის, მეციტრუსეობის, მეხილეობის,

პრაქტიკულად ცოტა რამ კეთდება იმისათვის, რომ ამ საქმეში ჩააბან უმაღლესი სასწავლებლებისა და აკადემიური მეცნიერება. ხდება სახსრების დაქსაქსვა, არის წვრილთემიანობის, სამეცნიერო-კვლევითი ნამუშევრების დამთავრებისა და მათი დანერგვის ვადების გაჭიანურების ფაქტები.

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის

ველა 8444,0 ათასი მანეთი შეადგინა. გურჯაანის რაიონში ამავე პერიოდში დაინერგა 270 ღონისძიება, რომელთა ეკონომიკური ეფექტია 18227,2 ათასი მანეთი.

ამავე დროს პარტიის გურჯაანისა და ხობის რაიკომების პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილ-

რესპუბლიკის სახაგროამრეწვი, მისი სამეცნიერო უზრუნველყოფის ცენტრი ყოველ ღონეს არ ხმარობენ იმისათვის, რომ უთუოდ სრულდებოდეს „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების მეცნიერული უზრუნველყოფის სრულყოფის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების მოთხოვნები.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, ილებდნენ შესაძლებლობას სწრაფად დაეუფლონ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დასახა აგროსამრეწველო კომპლექსში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა დანერგვის უზრუნველყოფის სხვა ორგანიზაციული და პოლიტიკური ღონისძიებანიც. (საქინფორმი).

### საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 75 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ქართველი საბჭოთა მეცნიერი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერული კომუნიზმის კათედრის გამგე, პროფესორი

ლეონიდე (ლეო) ერემიას ძე გორგილაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

ლ. ე. გორგილაძის დაკრძალვის მოსაწყობად შეიქმნა მთავრობის კომისია გ. ნ. ენუქიძის თავმჯდომარეობით.

### ლ. ე. გორგილაძის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება 24, 25 სექტემბერს 19 საათზე განსვენებულის ბინაზე (ჭავჭავაძის პროსპექტი, № 62). გამოსვენება 26 სექტემბერს, 16 საათზე. დაკრძალვა საბურთალოს სასაფლაოზე.

# ლენინურ პრინციპებზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის ახალი თვისებებისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

(გაგრძელება)

ბალტიისპირა რესპუბლიკების მიერ შემოთავაზებული კონცეფციების მიღებას, თქვა ორატორმა, შეიძლება სერიოზული ნეგატიური შედეგები მოჰყვეს. არა მარტო მთლიანად კავშირი, არამედ ყოველი მოკავშირე რესპუბლიკაც დაინტერესებულია იმით, რომ კი არ შემოიზღუდოს თავისი ტერიტორიის ფარგლებში, არამედ ერთიანი ბაზრის განვითარებას ეცადოს, მაშინ ბევრი საკითხი ერთმანეთის საზარალოდ კი არ გადაწყდება, არამედ ყველასა და მთელი ქვეყნის ინტერესების შესაბამისად.

ორატორი განსაკუთრებით შეეხო ბალტიისპირა რესპუბლიკების წინადადებას იმის შესახებ, რომ მათ გადაეცეთ ყველა საწარმო, მათ შორის უმნიშვნელოვანეს საერთო-საკავშირო სისტემებში შემავალი საწარმოებიც. მან გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შემცირება შრომის ტერიტორიული დანაწილების უპირატესობათა გამოუყენებლობის გამო. მაგალითად, შავი და ფერადი მეტალურგია ისტორიულად ვითარდებოდნენ დიდი ერთეული სიმძლავრის აგრეგატების შექმნის გზით, რასაც ახლდა ძლიერად განვითარებული კოოპერაცია ნედლეულის, ენერგიისა და მასალების დარგში. საგლინავი და სხვა აგრეგატების დიდი სპეციალიზაცია ხორციელდებოდა მთელი სახალხო მეურნეობის, და არა მარტო ცალკეული რეგიონების ინტერესებით. გარდა ამისა, საჭიროა გავითვალისწინოთ მეტალურგიული წარმოების დიდი კაპიტალტევადობა, რაც მოითხოვს რესურსების კონცენტრაციას მისი განვითარების სახალხო მეურნეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვან მიმართულებებზე, საინვესტიციო პროცესის ცენტრალიზაციას, საპროექტო ორგანიზაციების ფართოდ ჩაბმას, ქვეყნის სპეციალიზებული სამშენებლო ორგანიზაციების, მანქანათსაშენებელი საწარმოების ტექნიკური აზრისა და ძალების მობილიზაციას.

ახლა ავიღოთ მეორე წინადადება — ლიტვის დამოუკიდებელი რკინიგზის ორგანიზაციის შესახებ. ცნობილია, რომ ტრანსპორტის მაგისტრალური სახეობები და, უწინარეს ყოვლისა, რკინიგზის ტრანსპორტი, წარმოადგენენ ექსტერიტორიულ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანად ქვეყნის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ქმედუნარიანობას, მათ შორის თავდაცვითი და საგარეო-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტას. მაშასადამე, ამ სახეობათა ტრანსპორტის განვითარება და მისი მართვა საერთო-საკავშირო დონეზე უნდა ხდებოდეს. ხოლო თუ ვილაპარაკებთ საკითხის ეკონომიკურ მხარეზე, წინასწარი გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ასეთ შემთხვევაში ლოკომოტივების მუშა პარკი ტვირთზიდვის იმავე მოცულობის პირობებში უნდა გაიზარდოს თითქმის 150 ერთეულით, სალოკომოტივო ბრიგადების შტატი კი — 1200-ზე მეტი კაცით. მარტო ეს დამატებითი ხარჯები წელიწადში დაახლოებით 85 მილიონ მანეთს შეადგენენ. ძნელია ეკონომიკურად გამართლებულად ჩავთვალო ასეთი წინადადება, ვინაიდან ეს ხარჯები არაფრით არ ანაზღაურდება. სარკინიგზო მეურნეობის განვითარების ინვესტიციების გადიდებისა და რკინიგზელთა სოციალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ნაცვლად, რისი იმედიც აქვთ ლიტვის დამოუკიდებელი რკინიგზის შექმნის წინადადების ავტორებს, საქმით ეს ინვესტიციები შემცირდება.

რა მოხდება, თუ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მაწარმოებელ ყველა საწარმოს გადავცემთ რესპუბლიკებს და მივანიჭებთ მათ უფლებას თვითონ განაგონ ეს რესურსები, როგორც ამას ლიტვისა და ესტონეთის სს რესპუბლიკები გვთავაზობენ, ნაჩვენებია მ. ს. გორბაჩოვის მოხსენებაში. ამასთან მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ბალტიისპირა მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის სრული მოცულობით მიღება საგრძნობლად ამცირებს საკავშირო ორგანოების შესაძლებლობებს ცალკეული რეგიონების განვითარების დონეთა გათანასწორებაში, ახალი რაიონების ათვისებაში.

საკავშირო ორგანოებს აღარ შეეძლებათ დაავალდებულონ მოკავშირე რესპუბლიკები, რომ მიაწოდონ სხვა რესპუბლიკებს საჭირო რაოდენობის ესა თუ ის რესურსი, ვინაიდან საკავშირო კანონებსაც კი, ბალტიისპირა რესპუბლიკების წინადადებით, ძალა ექნებათ მხოლოდ რესპუბლიკების მიერ მათი მოწონების შემთხვევაში. ეკონომიკის ავტომატიზაციის შეიძლება მოჰყვეს რესპუბლიკების ეკონომიკური განვითარების ტემპებსა და დონეებს, ხალხის ცხოვრების დონეებს შორის სხვაობათა გადიდება და, როგორც შედეგი, ეროვნულ წინააღმდეგობათა გაღრმავება და არა გადაწყვეტა.

მხედველობაში იღებს რა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე მოკავშირე რესპუბლიკების გადასვლის პრობლემის სირთულეს, ბევრი თეორიული საკითხის, უწინარეს ყოვლისა, საკუთრების პრობლემის დაუმუშავებლობას და ითვალისწინებს რა იმას, რომ არ არის მიღებული შესაბამისი კანონები და არ არსებობს სამართლებრივი უზრუნველყოფა, ორატორი მიზანშეწონილად მიიჩნევს რესპუბლიკებისა და რეგიონების გადასვლა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე განხორციელდეს ეტაპობრივად. ეს პრინციპული დებულება განიხილეს და მოიწონეს მიმდინარე წლის 13 სექტემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გამართულ შეხვედრაზე ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკების ხელმძღვანელობასთან.

(დასაწყისი იხ. „კომუნისტის“ №№ 219, 220).

ამის გათვალისწინებით 1990 წელს განვიხილავთ როგორც მეურნეობრიობის ახალი მექანიზმის რეალიზაციის გარდამავალ ეტაპს. ეს არ გამორიცხავს რესპუბლიკების დამოუკიდებლობის დონის ამაღლებას და მათთვის ცალკეული საწარმოების გადაცემას უკვე ამ ეტაპზე. მაგრამ საიმისოდ, რომ გვქონდეს მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ნორმალური ფუნქციონირების გარანტია, საჭიროა თავიდან უზრუნველვყოთ საწარმოთა, როგორც ჩვენი მეურნეობრიობის სისტემის ძირითადი რგოლის ეკონომიკური დამოუკიდებლობის მაღალი დონე.

ქვეყანაში მიმდინარე რადიკალური ეკონომიკური რეფორმის ფარგლებში თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების პრინციპებზე მოკავშირე რესპუბლიკების გადასვლისათვის მზადებამ მოითხოვა ახალი მიდგომების გამომუშავება 1990 წლის ეკონომიკური და სოციალური განვითარების სახელმწიფო გეგმის ფორმირებაში მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით დამტკიცებული მაჩვენებლების მხრივ, მაგალითად, სახელმწიფო გეგმის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაუმტკიცდებათ და წარედგინებათ მხოლოდ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციისა და არასასურსათო საქონლის მიწოდების, საერთო-საკავშირო ფონდში სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის მიწოდების, უმნიშვნელოვანეს საწარმოო სიმძლავრეთა და ბუნებისდაცვითი ობიექტების ამოქმედების სახელმწიფო შეკვეთები. ეს ეხება აგრეთვე სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა ლიმიტებს, მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებს, მათ შორის აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებისათვის განკუთვნილ რესურსებს.

ნავარაუდევია, თქვა ორატორმა, უარი ვთქვათ რესპუბლიკებისათვის ფასიანი მომსახურების რეალიზაციის, საცალო საქონელბრუნვის, სოციალურ-კულტურული სფეროსა და კომუნალური მეურნეობის ობიექტების ამოქმედების მოცულობის სახელმწიფო შეკვეთის დადგენის პრაქტიკაზე. აღნიშნულ საკითხებს რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები დამოუკიდებლად გადაწყვეტენ.

ბალტიისპირეთის მოკავშირე რესპუბლიკებისა და ბელორუსიის სს რესპუბლიკისათვის, რომლებიც 1990 წლიდან სამეურნეოანგარიშის პრინციპებზე გადადიან, გეგმაში დანარჩენი რესპუბლიკებისაგან განსხვავებით სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალდაბანდებათა ლიმიტები წესდება მთლიანად, დარგებისა და მიმართულებების მიხედვით გაუნაწილებლად. საერთო-საკავშირო ფონდში არასასურსათო საქონლის მიწოდება წესდება მხოლოდ ნატურალური გამოხატულებით. ამასთან უზრუნველყოფილი იქნება გეგმაში დავალებათა დადგენის მოქნილი სისტემა. კერძოდ, გათვალისწინებულია, რომ გეგმის დამტკიცებულ მაჩვენებლებს, მათ შორის მომავალი წლის ლიმიტებსაც, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გააკორექტირებს ამ რესპუბლიკათა მინისტრთა საბჭოების გამგებლობაში შესაბამისი საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების გადაცემის კვალობაზე.

დასასრულ ორატორმა თქვა, რომ მოხსენებასა და გამოსვლებში წამოყენებული წინადადებები გულისხმობენ, რომ ინდუსტრიის საბაზო დარგები, მრეწველობის თავდაცვითი დარგების სისტემა, რკინიგზის, საზღვაო და საავიაციო ტრანსპორტი, კომუნიკაციები, ენერგეტიკა ჯერჯერობით ცენტრის გამგებლობაში უნდა დარჩეს. შემდეგ, სამეურნეოანგარიშიანი ურთიერთობის განვითარების კვალობაზე რესპუბლიკების ფუნქციები და უფლებები ზოგიერთი დარგის მართვაში გაფართოვდება.

ჩვენს რეგიონს, თქვა სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ს. გ. არუთინიანმა**, უკვე მეორე წელია პრესა და ტელევიზია უწოდებენ როგორც ცხელსა და აფეთქებასაშიშს. რამ გადააქცია იგი მოთუხთუხე ქვაბად? მოდით, ინერციით ამას ნუ დავაბრალებთ ჩავარდნებს ეკონომიკაში, ხელმიშვებულობას სოციალურ სფეროში, თუმცა როგორც იტყვიან, არც უმიზეზობაა, დეტონატორი უწინარეს ყოვლისა გახდა აღმაშფოთებელი დეფორმაციები ეროვნულ საკითხში, რომლებიც საჯაროობამ და გარდაქმნამ გააშიშვლა.

ძალიან ცდებიან ისინი, ვინც ეძებს ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავების ყველა რესპუბლიკისათვის ერთიან მიზეზებსა და კონფლიქტების გადაწყვეტის შესაბამის უნივერსალურ რეცეპტებს. ყოველ რეგიონს აქვს თავისი სპეციფიკა, რომელსაც თუ ვერ გავიგებთ, ვერ ვიპოვით სწორ მიდგომებს.

სომხეთში შექმნილ ახლანდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაზე გავლენას ახდენს როგორც წარსულის ექო, ისევე აწმყოს რეალიები. ისტორიულ გარემოებათა ნებით ხალხი ნაწილობრივ არის გათიშული, რომლებიც ერთმანეთს ელტვიან. გენოციდის მწარე მემკვიდრეობაა ორმილიონიანზე მეტი დიასპორა, რომელიც დაფანტულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. დაახლოებით ამდენივე სომეხი ცხოვრობს სომხეთის სს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში.

დღევანდელი ეროვნებათშორისი და ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად გამწვავებულმა ისტორიულმა ხსოვნამ გავლენა მოახდინა და არ შეიძლება არ მოეხდინა ხალხის ფსიქოლოგიაზე, გუნება-განწყობილებაზე. და ამაში, მიაჩნია ორატორს, უნდა ვეძებოთ იმის გაგების გასაღები, რაც ხდება დღეს რესპუბლიკაში.

თუ მთელ პასუხისმგებლობას ექსტრემისტთა ხრიკებს დავაკისრებთ, თქვა მან შემდეგ, ეს მეტისმეტად გაამარტივებს საქმის არსს. მოგვისპობს შესაძლებლობას გამოვნახოთ კრიზისული სიტუაციიდან გამოსვლის სწორი გზები.

სომხეთი ბობოქარ ხანაში ცხოვრობს. მასების გაზრდილმა აქტიურობამ, ყარაბაღის კვანძის გახსნაში ზოზინმა, დაძაბულობის ესკალაციამ აზერბაიჯანთან ურთიერთობაში, ბლოკადამ რესპუბლიკაში შექმნეს კრიტიკულთან მიახლოებული ვითარება.

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიამ, რომელიც ჩვენი პლენუმის წინ დაიწყო, დაისვა საკითხი რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი ნდობის ვოტუმის გამოცხადების შესახებ. ზოგიერთ გამოსვლაში გაისმოდა მოწოდებები გამოეცხადებინათ უნდობლობა საკავშირო ორგანოებისადმი.

როგორ მოხდა, სვამდნენ კითხვას დეპუტატები, რომ საბჭოთა ხელისუფლების სამოცდამეათე წლისთავზე იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი, არ წყდება ლტოლვილთა ნაკადი, ხდება ისეთი უპრეცედენტო აქცია საბჭოთა სახელმწიფოს ისტორიაში, როგორიცაა მეზობლის მიერ მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკური ბლოკადა? რატომ არის, რომ ბლოკადასთან დაკავშირებით ზომებს არ იღებენ ქვეყნის პარლამენტი და მთავრობა, რატომ დუმს ცენტრალური პრესა?

მე ამ კითხვებს, თქვა შემდეგ ორატორმა, აქ, პლენუმზე, შემთხვევით როდი ვსვამ. რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაციების ძალებით კონფლიქტის მოწესრიგების შესაძლებლობანი მეტად შეზღუდულია. ამას ნათლად მოწმობს უკანასკნელი დღეების ამბავი. მეზობელი რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების ორი ბიუროს შეხვედრის დროს მიღწეული მორიგება ფაქტობრივად დაირღვა, ჩაიშალა სომხეთისა და მთიანი ყარაბაღის ავტონომიურ ოლქზე ეკონომიკური ზეგავლენის შედეგად. ომისდროინდელი ნაცნობი სიტყვა „ბლოკადა“ უცებ რეალობა გახდა. საქართველოში გამავალ რკინიგზას კი ახლა „სიცოცხლის გზას“ უწოდებენ. მაგრამ მასაც შეუძლია მხოლოდ 15 პროცენტით უზრუნველყოს საგეგმო ტვირთზიდვა.

უკვე მეორე თვეა, აღნიშნა ორატორმა, სომხეთში არ მოდის ტვირთი აზერბაიჯანის რკინიგზით. წელზე მეტია ეკონომიკურ იზოლაციაშია მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქი. საწვავი არ გვყოფნის თვით „სასწრაფო დახმარების“ მანქანებისათვის. შეჩერებულია სამშენებლო და აღდგენითი სამუშაოები უბედურების ზონაში. მთელი ქვეყნიდან მიწისძვრის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად ჩამოსული ასობით რაზმი იძულებულია უმოქმედოდ იყოს. ეს უკვე ეკონომიკური კი არა, დიდი პოლიტიკური პრობლემაა. თუ 20 სექტემბრისათვის ქაღალდით დატვირთული ტრანსპორტი ვერ შემოაღწევს სომხეთში, 21 სექტემბრისათვის რესპუბლიკაში ველარ გამოვა გაზეთები და ადამიანები ვერ გაეცნობიან ცენტრალური კომიტეტის ამ პლენუმის მასალებს.

რეგიონში შექმნილ სიტუაციას დრამატიზმსა და სიმწვავეს ანიჭებს, განაცხადა ორატორმა, მთიანი ყარაბაღის სისხლიანი ჭრილობა. მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის საკითხი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ტერიტორიული დავის საგანი როდია. იგი, თქვა ორატორმა, სომხეთს არ დაუყენებია, იგი თავად მთიანი ყარაბაღის ხალხმა დააყენა. იგი უნდა განვიხილოთ როგორც ხალხთა თვითგამორკვევის საკითხი. საქმე ეხება ხალხის ნების გამოხატვას, მის სუვერენულ უფლებას. უგულებელყო ეს უფლება, თქვა ორატორმა, ნიშნავს სახელი გაუტეხო პარტიის ეროვნულ პოლიტიკას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმაში სწორად არის ნათქვამი, რომ მთიანი ყარაბაღის პრობლემა უნდა გადაიჭრას კონსტიტუციურ-სამართლ ე ბ რ ი ვ, დემოკრატიულ საფუძველზე, საჯაროდ, ამასთან აუცილებლად მიიღონ მონაწილეობა ამაში ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებმა.

ვფიქრობ, თქვა ს. გ. არუთინიანმა, პრინციპული მნიშვნელობა აქვს ამ ნუსხაში შევიტანოთ ერის თვითგამორკვევის უფლება, ურომლისოდაც, როგორც ცნობილია, ვერ იქნება ნამდვილად დემოკრატიული ეროვნული პოლიტიკა.

რეალურად უნდა შევაფასოთ სიტუაცია. ახლანდელ ვითარებაში, როცა ორივე მხარეს გაუჩნდა ურთიერთუნდობლობა, შეურიგებლობა და მტრობაც კი, გამოსავალი უნდა ვეძებოთ კომპრომისის გზაზე. ამ მიმართულებით გონივრული ნაბიჯი, მიაჩნია ორატორს, ის იქნება, თუ მთიან ყარაბაღს მიეცემა საკავშირო დაქვემდებარების ავტონომიური ტერიტორიის სტატუსი — სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იქნება მთიანი ყარაბაღის ავტონომიური ოლქის რეალური დაქვემდებარება ცენტრისადმი და აღდგება საოლქო პარტიული და საბჭოთა ორგანოები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმაში განსახიერებულ პარტიის ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიას დღეს განსაზღვრავს სოციალისტური ფედერალიზმის საფუძვლების შემდგომი განვითარება, მოკავშირე რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გაღრმავება, რეგიონალური სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და მთელი რიგი სხვა კარდინალური ნაბიჯები. ორატორს საჭიროდ მიაჩნია აისახოს ზოგადი პრინციპი: საბჭოთა ფედერაცია არის არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკების, არამედ აგრეთვე ავტონომიური ფორმირებების კავშირი. ამით ხაზგასმული იქნება: ჩვენში არ არიან მეტი თუ ნაკლები უფლებების მქონე ხალხები, ყველა ერსა და ეროვნებას აქვს თანაბარი დამოუკიდებლობა და სულიერი, კულტურული, ეკონომიკური და სოციალური განვითარების თანასწორი შესაძლებლობანი.

შეიქმნა ვითარება, როცა დიდ ეროვნულ ერთობებს, რომლებმაც მოკავშირე რესპუბლიკები წარმოქმნეს, აქვთ არა მარტო ეკონომიკური, არამედ კონსტიტუციით დამკვიდრებული თავიანთი განვითარების პოლიტიკური გარანტიებიც. ეროვნულ უმცირესობებს კი, თუნდაც ისინი კომპაქტურად სახლობდნენ ისტორიულ ტერიტორიებზე და ჰქონდეთ ავტონომიის სტატუსი, ამგვარი გარანტიები ყოველთვის არა აქვთ. ორატორი შემდეგ შეეხო პრობლემებს, რომლებსაც ეროვნული უმცირესობანი და ჯგუფები აწყდებიან.

საჭიროა, განაცხადა მან, ჩვენი ფედერაცია გავხადოთ კარგახსნილი, ავტონომიურ ფორმირებებს მივანიჭოთ უფლება შეჰქონდეთ წინადადებანი ქვეყნის უმაღლეს ორგანოებში ავტონომიის სტატუსის გადიდების შესახებ. შეიძლებოდა გაგვეთვალისწინებინა ეროვნულ-ტერიტორიულ ფორმირებებს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის სისტემა იმავე საფუძველზე, რაც მოკავშირე რესპუბლიკებს აქვთ სსრ კავშირთან. ამ შემთხვევაში, ორატორის აზრით, თვითგამორკვევის ფორმა უნივერსალურ ხასიათს შეიძენს.

რა არის ფედერაციის სუბიექტი: ტერიტორიული ფორმირებები თუ კავშირში შემავალი ხალხები? თუ პასუხი არ გაეცემა ამ კითხვას, მიაჩნია ორატორს, ვერ ვიპოვით კავშირის სრულყოფის, მაშასადამე, განმტკიცების გასაღებს.

დღევანდელი რეალიები დაბეჯითებით გვიკარნახებენ იმის საჭიროებას, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლება განვმარტავდეთ არა რამდენ სსრ კავშირის შემადგენლობიდან ამა თუ იმ რესპუბლიკის გამოსვლის შესაძლებლობის, რამდენადაც საბჭოთა ფედერაციის ფარგლებში ხალხთა თვითგამორკვევის ასპექტით. არსებითად საკითხის ასეთ დაყენებას შეიცავს პლატფორმის პროექტი რუსეთის ფედერაციის ავტონომიურ ფორმირებათა შესახებ. ეს პრინციპი ორატორს შესაძლებლად მიაჩნია განხორციელდეს მთელი საბჭოთა ფედერაციის ფარგლებში.

ეროვნებათშორისი კონფლიქტები, თქვა მან, მკაცრი რეალობაა. მათი გადაჭრის სამართლებრივი მექანიზმები კი ჩვენ ჯერ კიდევ არა გვაქვს. ასეთი მექანიზმების ძიებას მივყავართ დასკვნამდე, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას საკავშირო დაქვემდებარების ავტონომიური ტერიტორიის სტატუსი. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, თქვა ორატორმა, ჩავაქროთ გაჩაღებული ხანძარი ჩანასახშივე, არ მივცეთ სიტუაციას შეიძინოს შეუქცევადი ხასიათი.

ერთა ურთიერთობაში სამართლიანობა — ასეთია დღეს დროის მოწოდება, თქვა შემდეგ ორატორმა, და პირველთა შორის ეს სამართლიანობა უნდა იგრძნოს რუსმა ხალხმა. დიდი ხნის განმავლობაში მთავარი მიმართულება ეროვნულ პოლიტიკაში იყო განაპირა მხარეებისადმი დახმარება ხალხთა შორის ფაქტობრივი უთანასწორობის აღმოფხვრისათვის. ასეთი მიდგომის პირობებში რუსეთს დააწვა დიდი ტვირთი. სახელმწიფოებრიობის ატრიბუტების გაბუნდოვანების გამო რუსეთის ფედერაციის ცენტრთან აიგივებენ. და ზედმეტი ცენტრალიზაციის კრიტიკა ზოგჯერ რუსეთის კრიტიკაში გადადის. ჩვენ, განაცხადა ორატორმა, სულითა და გულით ვუჭერთ მხარს პლატფორმის პროექტში ჩამოყალიბებულ წინადადებებს, რომელთა მიზანი ის არის, რომ რუსეთს დაუმკვიდროს ღირსეული ადგილი მოკავშირე რესპუბლიკათა ფედერაციაში.

ბევრი ადგილობრივი პარტიული კომიტეტი მოუმზადებელი შეხვდა ეროვნული თვითშეგნების სწრაფ ამაღლებას, მოსახლეობის მიერ საჭირბოროტო სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემების დასაბუთებულ დაყენებას. იმის გამო, რომ გადაჭრილი არ არის მწვავე ეროვნული და სოციალური პრობლემები, საფრთხე ექმნება პარტიულ ორგანიზაციათა ავტორიტეტს.

ჩვენ, თქვა შემდეგ ორატორმა, იძულებული ვართ ხშირად თავდამცველთა როლში ვიგრძნოთ თავი, ზოგჯერ ვერ ვფლობთ ინიციატივას, ხელიდან ვუშვებთ ეროვნულ დროშას, რომელსაც იტაცებენ პოლიტიზირებული გაერთიანებები და ორგანიზაციები, ეროვნულ მისწრაფებათა გამომხატველში რომ ხდებიან.

რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა პარტია უნდა იყოს, ხაზი გაუსვა მან, ინტერნაციონალური, მაინტეგრირებელი საწყისის მატარებელი, მაგრამ ჩვენს მრავალეროვან ქვეყანაში ინტერნაციონალური საწყისებს ხორცი უნდა შევასხათ ჩვენი კავშირის ხალხთა და ეროვნებათა ეროვნული მისწრაფებების დაკმაყოფილების მეშვეობით.

სრულიადაც არ მინდა პასუხისმგებლობა მოვიხსნა, თქვა ორატორმა, მაგრამ ამასთან ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტიც, მისი პოლიტბიუროც ხშირად აგვიანებდნენ პოლიტიკურ შეფასებებს და პოლიტიკური ზომების მიღებას ეროვნებათშორისი ურთიერთობის „მაგარი კვანძების“ გახსნისათვის. არის საკითხები, რომლებიც შეიძლება და კიდევაც უნდა გადაწყვიტონ სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, ქვეყნის მთავრობამ და სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, და უფლება გვაქვს მათგან ველოდოთ მეტ სიმტკიცეს, მეტ თანამიმდევრულობას, მეტ ოპერატიულობას.

ეროვნებათშორისი ურთიერთობაში პრობლემების, აზრებისა და მათი გადაჭრის გზების მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად, რაც დღესაც ვლინდება ჩვენს პლენუმზე დისკუსიაში, თქვა უკრაინის კომპარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ა. ნ. გირენკომ**, უდავოა ის, რომ რთული, წინააღმდეგობრივი პროცესები, რომლებსაც ამ ნიადაგზე მწვავე კონფლიქტები ახლავს, ეხება ყველა საბჭოთა ადამიანს, გულგრილს არ ტოვებს არავის იმისდამი, რაც კავკასიასა თუ შუა აზიაში, ბალტიისპირეთსა თუ მოლდავეთში ხდება. დემოკრატიზაციისა და საჯაროობის პირობებში ეროვნული თვითშეგნების ზრდა გახდა რეაქცია ლენინური ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებაზე, პოლიტიკური და ეკონომიკური ხელისუფლების მეტისმეტ ცენტრალიზაციაზე, განსაკუთრებით პატარა ხალხების კულტურის, ყოფა-ცხოვრების დარგში ეროვნული ინტერესებისადმი არასაკმარის ყურადღებაზე. მაგრამ ამ ბუნებრივმა რეაქციამ მარტო ჯანსაღი ძალები როდი აამოძრავა. დღეს ეროვნულ მოძრაობებს საგრძნობლად დაჰკრავს ნაციონალისტური ელფერი; წინააღმდეგობრიობამ და სიმწვავემ ეროვნებათშორისი ურთიერთობანი გარდაქმნის პროცესების ავანსცენაზე გამოიყვანა.

გარდაქმნის წარმატებანი, თქვა ორატორმა, პირდაპირ უკავშირდება ჩვენი საერთო-საკავშირო საქმის სიმტკიცეს. ეს პრინციპული და ძირეული საკითხია. ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა ეროვნული და საერთო-სახელმწიფო ინტერესების ოპტიმალური შეხამება, ნებაყოფლობითი კავშირი გარდაქმნის პირობებში ეროვნულ წინააღმდეგობათა გადაჭრისადმი მიდგომის მთავარი პრინციპია.

მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება პლენუმზე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ეროვნული პლატფორმა ითვალისწინებენ თანამედროვე ფაქტორების მთელ ერთობლიობას და თავიანთი შინაარსით შეადგენენ ამ ისტორიული პროცესის ახალ კონცეფციასა და სტრატეგიას. ამ პოლიტიკის ხორცშესხმა შეიძლება მხოლოდ ამ მიმართულებით თითოეული პარტიული კომიტეტის, ყველა კომუნისტის თანამიმდევრული და გულმოდგინე პრაქტიკული საქმიანობის პირობებში. და ბევრი რამ დამოკიდებული იქნება მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების პოზიციების სიზუსტესა და მოქმედების თანამიმდევრულობაზე.

ძირეული პარტიული აქტივი დღეს რთულ ვითარებაში მუშაობს. ეროვნულ ურთიერთობას ართულებს ეკონომიკური არასტაბილურობა და უკიდურესობამდე გამწვავებული სოციალური პრობლემები. მიტინგომანია, ემოციები არცთუ იშვიათად ახშობს გონივრულ საწყისებს. ორგანიზატორულ და იდეურ-აღმზრდელობით მუშაობაში ყოველთვის როდი ვახერხებთ მივაგნოთ სწორ ტონს, დავიცვათ შეხედულებათა სოციალისტური პლურალიზმი, პრიორიტეტი მივანიჭოთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

ასეთ პირობებში უაღრესად საჭიროა გვქონდეს მკაფიო თეორიული ორიენტირები. ორატორმა გამოთქვა რწმენა, რომ პლენუმი დიდ წვლილს შეიტანს ეროვნული საკითხის თანამედროვე თეორიაში.

საჭიროა, თქვა მან, კიდევ უფრო გავაძლიეროთ ეროვნული პოლიტიკის მეცნიერულ-თეორიული დამუშავება, ვეძებოთ მისი რეალიზაციისადმი ახალი და არაორდინარული პრაქტიკული მიდგომები. მიზანშეწონილი იქნებოდა, ჩამოგვეყალიბებინა ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემათა საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც ექნება ფილიალები მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებთან, შეგვექმნა აგრეთვე შესაბამისი ქვეგანაყოფები უმაღლეს პარტიულ სკოლებში პარტიული და იდეოლოგიური მუშაკების კადრების მიერ ეროვნული საკითხის თეორიისა და პრაქტიკის გაღრმავებული შესწავლისათვის.

უნდა განვიხილოთ აგრეთვე საკითხი, რომ სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების პარტიულ კომიტეტებში, პარტიის სამხარეო კომიტეტებსა და ზოგიერთ საოლქო კომიტეტებში შევქმნათ ეროვნებათშორისი ურთიერთობის არა მარტო კომისიები, რაც ძალზე საჭიროა, არამედ განყოფილებანიც, ასაგებია, არსებული შტატების ფარგლებში.

რეალურ ცხოვრებაში ძნელია იმ ზღვარის გავლება, რომლის მიღმა ეროვნული განვითარებისადმი პროგრესული მისწრაფებანი იქცევა მის დაპირისპირებულობად—ეროვნული განსაკუთრებულობის დამკვიდრებად. მით უმეტეს, რომ ყოველგვარი, მათ შორის ექსტრემისტული ნაციონალისტური ძალები თავიანთ რიგებში მომხრეთა ჩასაბმელად იყენებენ და, პირდაპირ უნდა ვთქვათ, წარმატებითაც, გარდაქმნის ლოზუნგებს. ამიტომ საჭიროა საქმით შევქმნათ ისეთი ვითარება, ისეთი პირობები, რომლის დროსაც საბჭოთა მოქალაქეებმა, როგორც ეს განსაზღვრულია კიდეც სკკპ პლატფორმაში, შეძლონ თავი იგრძნონ როგორც შინ ჩვენი ქვეყნის ნებისმიერ კუთხეში.

სწორედ ეს არის ეროვნული ინტერესებისა და ინტერნაციონალისტური პოზიციებისათვის ზრუნვის სწორი შეხამების კრიტერიუმი.

შეეხო რა ენის საკითხს, ორატორმა მტკიცედ დაუჭირა მხარი მოხსენებაში გამოთქმულ წინადადებას, რომ საჭიროა გვქონდეს საერთო-საკავშირო სახელმწიფო რუსული ენა. ამას, თითოეულ რესპუბლიკაში ეროვნულ სახელმწიფო ენასთან ერთად, შეუძლია მრავალი უთანხმოება გადაჭრას.

ყირიმი, თქვა შემდეგ საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, კარგად არის ცნობილი საბჭოთა ადამიანებისათვის როგორც კურორტი უნიკალური ბუნებრივი, კლიმატური, სამკურნალო ფაქტორებით, რომელიც ჭეშმარიტად საკავშირო, საყოველთაო-სახალხო კუთვნილებაა. ყირიმი მრავალეროვანი და ამავე დროს ინტერნაციონალურია. რუსებთან, უკრაინელებთან, ყირიმელ თათრებთან, ყირიმელებთან, კარაიმებთან ერთად აქ ცხოვრობენ ბულგარები და უზბეკები, ბელორუსები, აზერბაიჯანელები და სომხები, ებრაელები, ლიტველები, ესტონელები, ლატვიელები, ბერძნები, გერმანელები, პოლონელები და მრავალნი სხვანი.

ყირიმმა გადაიტანა ეროვნული პოლიტიკის სტალინურ დეფორმაციებთან, ხალხების, კერძოდ ყირიმელი თათრების, ღალატის უსაფუძვლო ბრალდებასთან დაკავშირებული ძვრები, რომლებიც დეპორტირებული იყვნენ ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. ხალხის ხსოვნა ცოცხალია. ეს ხსოვნა ინახავს ყველაფერს: ფაშისტების მაჩანჩალების ღალატსაც, იმათ გმირობასაც, ვინც ფრონტზე, პარტიზანულ რაზმებში და ზურგში იბრძოდა მტერზე გამარჯვებისათვის. და ახლა, 45 წლის შემდეგ, ყირიმელ თათართა პრობლემა, რომელთა დიდი ნაწილი ყირიმის გარეთ ცხოვრობს, ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ართულებს ვითარებას ოლქში. ახალი აზროვნება, გარდაქმნის ლოგიკა გვავალებს გამოვნახოთ ამ უაღრესად რთული პრობლემის გადაჭრის გზა. ეს გზა შეიძლება გამონახოს მხოლოდ მაშინ, თუ ყირიმში მცხოვრები მოსახლეობის ინტერესებს, ეს კი ორმილიონ-ნახევარი კაცია, შევუხამებთ ყირიმელ თათართა ეროვნულ ინტერესებს. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ დღევანდელი დღის რეალიების მთელი ერთობლიობა. ნახევარკუნძულის, როგორც კურორტის განვითარების არასაკმაოდ ზუსტ ორიენტაციას, ჯანმრთელობის დაცვის კერების მშენებლობისადმი უწყებრივ მიდგომას მოჰყვა გადახრები ეკონომიკაში და გაამწვავა სოციალურ და ეკოლოგიურ პრობლემათა მთელი კომპლექსი. საკმარისია ითქვას, რომ ბინის მიღების რიგში 152 ათასი კაცი დგას. უცხო სხეულებად იქცნენ მსხვილი ქიმიური კომპლექსი ოლქის ჩრდილოეთში და მეტალურგიული — აღმოსავლეთში.

არა მარტო ყირიმის მცხოვრებთა, არამედ ქვეყნის ფართო საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს, თქვა შემდეგ ორატორმა, ყირიმის ატომური სადგურის მშენებლობა. მისთვის პროფილის შეცვლის პრაქტიკულად უკვე გადაწყვეტილი საკითხი რატომღაც სულ ყოვნდება.

ყირიმელ თათართა გადმოსახლება, რომელიც მოითხოვს დამატებით მატერიალურ და ფულად რესურსებს, რაც არაერთი მილიარდი მანეთია, შესაძლებელია მხოლოდ სპეციალურად შემუშავებული სახელმწიფო პროგრამის საფუძველზე, რომელიც შეიცავს, კერძოდ, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას. საცხოვრებელი სახლების მშენებლობას, განათლებას, შესაბამის ინფრასტრუქტურას.

ამჟამად, თქვა შემდეგ ორატორმა, ყირიმელ თათართა ეროვნული მოძრაობის ექსტრემისტულად განწყობილი ლიდერები აქეზებენ ყირიმის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს გაყიდონ თავიანთი სახლები ან მოახდინონ მათი კონსერვაცია, სტიქიურად მასობრივად შემოვიდნენ ოლქში, თვითნებურად დაიტაცონ მიწები განაშენიანებისათვის, არ დაემორჩილონ ადგილობრივ ხელისუფალთ. ეს იწვევს ადამიანთა გაუმართლებელ ტანჯვას, პროვოკაციულად იწვევს ანტითათრულ განწყობილებებსაც.

ორატორმა ამხანაგებს უზბეკეთიდან და კრასნოდარის მხარიდან, სადაც ყირიმელ თათართა მნიშვნელოვანი ნაწილი ცხოვრობს, მიმართა თხოვნით გააძლიერონ მუშაობა სწორედ ახლა და ამ მოსახლეობას განუმარტონ ასეთი წინდაუხედავი, გაუაზრებელი მოქმედების მთელი დამღუპველობა. გამოსვლაში დაისვა საკითხი, რომ მიიღონ სპეციალური კანონი ყირიმის შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მისი განსაკუთრებული სტატუსი ჩვენი სახელმწიფოს არსებულ სტრუქტურაში. ასეთი გადაწყვეტილება ახალ შესაძლებლობებს შექმნიდა ყირიმში სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ეროვნული ურთიერთობების ჰარმონიზაციისათვის.

ტრაგიკულმა მიწისძვრამ სომხეთში, თქვა მწერალმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ბ. ი. ოლეინიკმა**, სამგლოვიარო წყვდიადში, ყველა კულტისა და უკვე „გარდაქმნის „მორკინალთა“ იერიშების მიუხედავად, მკაფიოდ გამოავლინა ის კეთილმობილური ძმობა, რომელიც სწორედ სოციალისტურმა წყობილებამ ჩაგვინერგა. ამავე დროს უბედურებამ გამოავლინა ქერქიჭამია მატლიც, რომელიც ღრმად დაბუდებულა სახელმწიფო ორგანიზმში. ჩვენ თვალწინ დაიმსხვრა გარეგნულად თითქოსდა ურყევი ნაგებობანი და აღმოჩნდა, რომ ცემენტის ნაცვლად ბლოკებში ქვიშა იყო და მეტი არაფერი.

ცუდია, როცა სასახლეები ქვიშაზე იგება. კიდევ უფრო უარესია, როცა ქვის პლატოზე ქვიშის სასახლეები შენდება. სავალალოა, როცა ამ ცემენტს იპარავდნენ ელემენტარული თაღლითები ელემენტარული ნაგებობებიდან. მაგრამ ასჯერ უფრო სავალალოა, როცა, არსებითად, ათწლეულების მანძილზე იპარავდნენ ქვას ჩვენი მრავალეროვანი ტაძრის საძირკვლიდან. იპარავდნენ რესპუბლიკის სუვერენიტეტს, ენას, ისტორიას, ეროვნულ ღირსებას შერწყმის პათოლოგიური თეორიის გულისთვის, უფრო ზუსტად კი, პირადი ძალაუფლების განმტკიცების გულისთვის.

და თუ დღემდე ჯერ კიდევ ზოგი ვინმე საზოგადოების დაბინდული მდგომარეობის მიზეზებს ეძებს სოციალისტური სისტემის ბიოლოგიაში, უყაირათობაში, უდისციპლინობაში, მფლანგველობაში, სიზარმაცეში, ეროვნული ხასიათის ხარვეზებში, მინდით დაგარწმუნოთ, რომ ეს მხოლოდ შედეგია. ყველა ამ სავალალო დეფორმაციის პირველმიზეზი კი არის ძირეული სისტემის, მშობლიური ბუდის სიყვარულის გრძნობის რღვევა, მამის, დედის, საკუთარი მხარის, წინაპართა საფლავების პატივისცემის დაკარგვა. ერთი სიტყვით, ნულოვან ნიშნულამდე წინამორბედთა და თანამედროვეთა წინაშე ანგარიშვალდებულების ზღურბლის შესუსტება, დაკარგვა სინდისისა, რომელიც საფუძვლად უდევს პირად ღირსებას, ჩვენ ყველას რომ გვაკავებს თავლაფდასხმულები არ აღმოვჩნდეთ ნათესავების, თანამემამულეების, მშობლიური კოლექტივის წინაშე, სამშობლოს წინაშე, ბოლოს და ბოლოს.

ასეთი მორალური ღუზების უქონლობა კი წარმოშობს ლეგიონერის, მედროვის, სხვისი მოიმედის, ბოგანოს ფსიქოლოგიას, რომლისთვისაც არავინ არაფერს ნიშნავს: არც მშობლები, არც კოლექტივი, არც სამშობლო. თუმცა რა შუაშია აქ სამშობლო, როცა გაგიტყუებენ რაც შეიძლება შორს მამა-პაპათა საფლავებიდან ფულით, ერთი სიტყვით, თავისუფლად კონვერტირებული მანეთით.

ჩვენ გავაშიშვლეთ ყველა ჩვენი წყლული, ახლა კი უნდა გადავიდეთ კონსტრუქციულ გადაწყვეტილებებზე. მე მაქვს რამდენიმე წინადადება. მაინც ვერ გადავწყვეტთ ჩვენს განსაკუთრებით მწვავე ეროვნულ საკითხებს, თუ არ შევქმნით სახელმწიფო წარმონაქმნი ეროვნებათა სახალხო კომისარიატის ტიპით, რომელიც ომამდე მოქმედებდა. რამეთუ თუკი ომამდე საჭირო იყო ასეთი წარმონაქმნი, მით უმეტეს — ახლა უფრო საჭირო.

ბუნებრივია, ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რათა ძირეული ეროვნების ენა სახელმწიფო იყოს. სამწუხაროა, რომ იმ ზღვრამდე მივედით, როცა უნდა დავიცვათ, ვთქვათ, უკრაინაში უკრაინული ენა. მაგრამ, რახან ასე მოხდა, ეს უნდა გავაკეთოთ, და ვფიქრობ, უკრაინაში ენის შესახებ კანონის პროექტი, რომელიც გამოქვეყნდა, ყველაზე ოპტიმალურია. ჩვენ ასე ჩამოვაყალიბეთ: მივიჩნიოთ უკრაინის ტერიტორიაზე უკრაინული ენა სახელმწიფო ენად. ამასავე სახელმწიფო დონეზე ხელი შევუწყოთ უკრაინაში მცხოვრები ყველა ერებისა და ეროვნების განვითარებას. რუსული ენა მიჩნიოთ ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენად.

სავსებით ვუჭერ მხარს პარტიულ პლატფორმას ეროვნულ საკითხზე. მაგრამ ჩემი პრაქტიკიდან, თუნდაც ძალზე მოკრძალებული პრაქტიკიდან, ვიტყვი, რომ თუ ძირეული ერის სახელმწიფო ენასთან ერთად გაისმება რუსული ენა როგორც მეორე სახელმწიფო ენა, ეს, რბილად რომ ვთქვათ, გათხვათსხვაობას გამოიწვევს.

რამეთუ ფორმულა „ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენა“, არსებითად, არის კიდეც საერთო-სახელმწიფო ენა. მაგრამ „საერთო-სახელმწიფოზე“ აქცენტმა შეიძლება არეულ-დარეულობა შეიტანოს. იქნებ მარტივად ვთქვათ: სსრ კავშირის ეროვნებათშორისი ურთიერთობის ენა?

მე ვიმყოფები ენის პრობლემის ირგვლივ ვნებათა კრატერში და ისე, რომ ზოგჯერ თვით ტერმინსაც შეუძლია დაძაბოს სიტუაცია.

საერთოდ კი მინდა ერთხელ კიდევ დავუმადლო ბედს იმისთვის, რომ, ბოლოს და ბოლოს, ვესწრები პლენუმს, რომელსაც ასე ველოდით. მოდით, გავუფრთხილდეთ იმ დიდ ღირებულებებს, რომლებიც შევიძინეთ 70 წლის მანძილზე და რომლებითაც შეიძლება ვიამაყოთ. რომ არ იყოს ჩვენთან ისე, როგორც ზოგიერთ ამბობენ ოდესელები — ხომ არ იჯექით სტალინგრადის სანგრებში, როცა მცირე მიწაზე სისხლი იღვრებოდაო? ჩვენ ერთნაირად გვტკივა გული იმათთვისაც, ვინც სტალინგრადთან დაიღუპა, და მცირე მიწაზე დაღუპულებისაც. უნდა გავუფრთხილდეთ იმას, რაც შევიძინეთ ასეთ მძიმე გზაზე, და გვახსოვდეს, რომ [illegible] ნის შენთვის დათრევა განადგურებულ მსოფლიოს წინაშე, [illegible] საზღვარგარეთელი მეგობრები კი გეუბნებიან — ბიჭებო, [illegible] ერდით, თქვენ ხომ არა ხართ [illegible] თი ცუდები, — არ ვარგა. [illegible] გან თუ ჩვენ პატივს არ ვცემთ საკუთარ თავს, ვინღა გვცემს პატივს?

ტრიბუნაზეა მოლდავეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ს. კ. გროსუ**.

ეროვნულ საკითხში რადიკალური შეხედულებების მოძალების მიზეზებზე, თქვა მან, არაერთხელ ითქვა. დღეს, როცა კვლავ ვაანალიზებთ მათ, ვცდილობთ უფრო ღრმა შეფასება მივცეთ ნეგატიურ ზემოქმედებას ეროვნებათშორის ურთიერთობაზე, კრიზისულ სიტუაციას ეკონომიკაში, უყურადღებობას სოციალური პრობლემებისადმი, ეროვნული ინტერესების დავიწყებას და, რაც მთავარია, ვცდილობთ მოვძებნოთ ის შემოქმედებითი პოტენციალი, რომლის რეალიზაცია საძირკველს ჩაუყრის მომავალში ეროვნებათშორისი ურთიერთობის ჰარმონიზაციას.

იმისათვის, რომ გადავწყვიტოთ ეს ამოცანა და გავთავისუფლდეთ წარსულის შეცდომებისაგან, საჭიროა რადიკალურად განახლდეს [illegible] ლი ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ჩვენი გარდაქმნის მოთხოვნებსა და სულისკვეთებას შეესაბამება. ჩვენი აზრით, პლენუმზე განხილული სკკპ პლატფორმა სავსებით შეიძლება გახდეს ასეთი პოლიტიკის საძირკველი. ოღონდ სამწუხაროა, რომ მისი შემუშავება გაუმართლებლად გაჭიანურდა.

ჩვენი წინადადებები და შენიშვნები პლატფორმის თაობაზე [illegible] ვუგზავნეთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და გამოქვეყნებული [illegible] პლენუმის მონაწილეებისათვის დარიგებულ მასალებში. მათი შემუშავების დროს ვხელმძღვანელობდით რეალური ვითარებით ჩვენს რესპუბლიკაში, იმ პირობებით, რომლებსაც რესპუბლიკაში ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა. და თუ [illegible] მშრომელები დაძაბულად მუშაობენ წლის გეგმების შესასრულებლად, სიტუაცია კვლავინდებურად რთულია. ადგილი აქვს ექსტრემისტულ გამოხდომებს, ნაციონალისტურ, შოვინისტურ ანტი[illegible] სულ და ანტიმოლდავური [illegible] თის გამოვლინებებს. თვითმოქმედი მოძრაობებისა და გაერთიანებების ცალკეული ლიდერები [illegible] ლობენ დემოკრატიზაცია და საჯაროობა გამოიყენონ ეგოისტური და ჯგუფური ინტერესების დამკვიდრებლად, აყენებენ ანტისოციალისტურ ლოზუნგებს, [illegible] ანარქიის, უწესრიგობის სამართალსაწინააღმდეგო გზაზე, მოითხოვენ ხელისუფლების ალტერნატიული სტრუქტურების შექმნას.

განსაკუთრებით გამძაფრდა დაძაბულობა მოლდავეთის სსრ უმაღლესი საბჭოს მეცამეტე სესიის წინ, რომელიც ენების შესახებ კანონებს განიხილავდა [illegible]

(გაგრძელება მე-3 გვ.)

# ლენინურ პრინციპებზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის ახალი თვისებებისაკენ

(გაგრძელება)

ეკონომიკის სტაბილიზება. მუშაობა იმ საწარმოების შრომით კოლექტივებთან, რომლებიც ჯერ კიდევ გაფიცული არიან, გრძელდება.

ამჟამად მიმდინარე ცვლილებების მასშტაბისა და სირთულის ზრდა, ეროვნებათშორისი ურთიერთობის პრობლემის სიმწვავე, ხაზი გაუსვა ორატორმა, გვავალდებულებს უფრო დაკვირვებით შევხედოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის როგორც ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი ბირთვის საქმიანობას. ჩვენ ყოველთვის ვერ ვხედავთ ცენტრალური კომიტეტის მკაფიო გეზს ბევრ საკითხში, მათ ღრმა დამუშავებას. ზოგჯერ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელთა გამოსვლებში იგრძნობა გაურკვევლობა, მომლოდინე პოზიცია.

კომუნისტებს უნდათ პრაქტიკულად იხილონ, თუ რა შედეგები მოაქვს ცენტრალური კომიტეტის საქმიანობას გარდაქმნის ნეგატიური დანაშრევების დაძლევისათვის, იმისათვის, რომ შემუშავდეს კონსოლიდაციის გზები არა მარტო ეროვნებათშორისი ურთიერთობის საკითხებში, არამედ ჩვენი პარტიის მთლიანობისა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფასა და მის განახლებაშიც. დღეს პარტიის ინტერესები, მისი ავტორიტეტისა და წარმმართველი როლის შენარჩუნება მოითხოვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის გაცილებით უფრო ღრმა წვდომას დაგროვებულ და რეგულარულად აღწარმოებად ანომალიებში, კონკრეტულ მოქმედებას პარტიის განმტკიცებისათვის, ორდინარულ საზოგადოებრივ ორგანიზაციად მისი გადაქცევის დაუშვებლობას და მტკიცე წინააღმდეგობას იმ თვითმოქმედი ფორმირებებისადმი, რომლებიც ცდილობენ შექმნან ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობა, უშვებენ უხეშ გამოხდომებს პარტიის წინააღმდეგ, მიაწერენ მის კადრებს ყველა ცოდვას. ჩვენ მხარს ვუჭერთ მოხსენების მითითებას, რომ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ მდივანს დაეკისროს ეროვნებათშორისი ურთიერთობების ასპექტების გაძღოლის მოვალეობა.

ჩვენ დიდი ხნის მანძილზე განვიხილავდით ეროვნულ პრობლემებს სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის სისტემის ფარგლებს გარეთ. სსრ კავშირის 1977 წლის კონსტიტუციამ კანონმდებლურად დაამკვიდრა ქვეყნის ეკონომიკის როგორც ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის გაგება. ამასთან ყურადღება გამახვილდა არა სახალხო მეურნეობის შემადგენელი ნაწილებისა და მასში მიმდინარე პროცესების ეკონომიკურ ურთიერთკავშირზე, არამედ ცენტრში, საკავშირო უწყებებში მეურნეობის ხელმძღვანელობის ფუნქციათა უდიდესი უმრავლესობის თ ა ვ მ ო ყ რ ა ზ ე.

ახლა გვესმის ბევრი სხვადასხვანაირი წინადადება სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობის ახალი ორგანიზაციისა და მთლიანად ჩვენი სახელმწიფო კავშირის მოწყობის თაობაზე. სამწუხაროდ, ხშირად გაისმის ხმები რესპუბლიკებისათვის დამოუკიდებლობის ისეთი სტატუსის, ისეთი სუვერენიტეტის მინიჭების შესახებ, რომელსაც არსებითად მოჰყვება კავშირის დაშლა, რაც, უთუოდ გადაისროდა ქვეყანას შორს უკან, გამოიწვევდა აუნაზღაურებელ მატერიალურ და მორალურ დანაკარგებს. გარკვევით ვიტყვი, რომ მოლდავეთის რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია მხარს არ უჭერს ამგვარ მსჯელობებს. იგი მთლიანად ეთანხმება სკკპ პლატფორმას, სადაც საბჭოთა ფედერაციის მთავარი იდეა გამოხატულია საყოველთაოდ აღიარებული ფორმულით: ძლიერი კავშირის გარეშე არ არის ძლიერი რესპუბლიკები, ძლიერი რესპუბლიკების გარეშე არ არის ძლიერი კავშირი; მაშასადამე, ჩვენი ძალა ერთობაშია, და ამისათვის უნდა ვეწეოდეთ მტკიცე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და პარლამენტურ ბრძოლას.

გააცნო რა დამსწრეთ მოლდავეთში შემუშავებული რეგიონალური თვითმმართველობისა და თვითდაფინანსების კონცეფცია, ორატორმა შემდეგ თქვა, რომ თავიანთ მთავარ ამოცანად მოლდაველ კომუნისტებს მიაჩნიათ ის, რომ მოაწესრიგონ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება რეგიონში, ჰარმონიული გახადონ ეროვნებათშორისი ურთიერთობა საკუთარ სახლში, დარაზმონ ჯანსაღი ძალები და დაუსახონ მათ მიზნად გარდაქმნის პროცესების გაღრმავება, სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაჭრა.

სიტყვა ეძლევა ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს **ვ. ი. ვიაილიასს.**

მას შემდეგ, თქვა მან, რაც პირველი ეროვნული ჩავარდნების ექო მთელ ქვეყანას მოედო, უკვე საკმაოდ დიდი დრო გავიდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი კონფლიქტის გადაწყვეტა არსებითად მაინც ვერ მოხერხდა. უარესიც, ისინი ზოგჯერ ღრმავდება კიდეც. კანონზომიერად იბადება კითხვა: რა ხერხებით ვცდილობთ მათ გადაწყვეტას? სასურველ შედეგებს ვერ იძლევიან ვერც მოწოდებანი აბსტრაქტული მეგობრობისათვის, როცა უკვე ბობოქრობს ვნებათაღელვანი, ვერც მუქარა და ფიზიკური ძალის გამოყენებაც კი, რაშიც არაერთხელ დავრწმუნდით. ცნობილია, რომ უწინარეს ყოვლისა, საჭიროა სწორი დიაგნოზი.

ჩვენ კვლავინდებურად, სამწუხაროდ, უფრო მეტად გამოძიებას ვაწარმოებდით, როცა კონფლიქტების სიღრმისეული მიზეზები მშვიდად განაგრძობდნენ და განაგრძობენ სიცოცხლეს. ღრმა რწმენით, ჩვენმა პლენუმმა ლენინური პრინციპების გათვალისწინებით კარდინალურად უნდა შეცვალოს პარტიის ეროვნული პოლიტიკა. ხალხები ელიან მკაფიო პასუხს ძირეულ კითხვებზე: ფედერაციის ახალი შინაარსის, რესპუბლიკის სუვერენობის პრაქტიკული გაჯერების, ერის თვითგამორკვევის ლენინური შინაარსის შესახებ. ამაზე უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ჩვენი კავშირის სიმტკიცე და გარდაქმნის ბედი.

პლენუმზე ვერ შემოვიზღუდებით ორჭოფული, ვერც სანახევრო გარდაქმნის გადაწყვეტილებებით და საბჭოების მეორე ყრილობაზე ვერ მივალთ ამ გადაწყვეტილებებით, რადგან პარტიის ავტორიტეტს გამოუსწორებელი ზიანი მოუვა, რეალური მოვლენები კი ჩვენი გვერდის ავლით განვითარდება. უკანასკნელ ხანს პროცესები საბჭოთა ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში მთელი რიგი მიზეზების გამო გახდა არგუმენტი ზოგჯერ გარდაქმნის სასარგებლოდ, ხშირად კი მის წინააღმდეგ.

სინამდვილეში, მაინც, რა ხდება ჩვენში, კონკრეტულად ესტონეთში? პირდაპირ ვიტყვი: ის, რაც ესტონეთში ხდება, ბევრად იყო დაპროგრამებული 50 წლის წინანდელი ცნობილი ამბებით. ამიტომ მთელი ისტორიული სიმართლე აუცილებლად უნდა აღდგეს. მაშინ შევძლებთ ავუხსნათ ჩვენს ხალხს, თუ რამდენად სერიოზულია ცალკეული სოციალური და დემოგრაფიული დეფორმაციები, უწყებრივი დიქტატი, ჩამორჩენა მეზობელი ქვეყნების ცხოვრების დონისაგან. საჯაროობა და დემოკრატია — ამ საკითხებს ჩვენში ხშირად ნაციონალური კონტექსტითაც სვამენ. ეს უნდა გავითვალისწინოთ.

ეროვნულ პოლიტიკაში რადიკალურმა ცვლილებებმა გარდუვალად გამოავლინეს რადიკალური პოზიციებიც — ნაციონალისტურიც და შოვინისტურიც. მოჩვენებითი წინააღმდეგობის მიუხედავად, ორივე უკიდურესობა სოლიდარულია თავის კონსერვატიზმსა და სასტიკ თავდასხმებში ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკაზე. და თუ არის მათ შორის რაიმე განსხვავება, მხოლოდ ის, რომ ნაციონალისტური კონსერვატიზმი, ამას არც მალავს, მზად არის რესპუბლიკა ჩამოაქვეითოს ორმოცდაათი წლის წინანდელ დონემდე, მიიყვანოს ბურჟუაზიულ წყობილებამდე. შოვინიზმი კი, ინილბება რა ფსევდორევოლუციური ფრაზით, მზად არის დაგვაბრუნოს ორმოცი წლის წინანდელ მდგომარეობამდე, სტალინური ტიპის ყაზარმულ სოციალიზმამდე.

დღეს ყველაზე დიდი შეცდომა ის არის, რომ საშიშროებას ვხედავდეთ მხოლოდ ერთი ფლანგიდან და მას ვებრძოდეთ მეორე უკიდურესობის პოზიციებიდან. დარწმუნებული ვართ, რომ ესტონეთის კომპარტიას, რომელიც ეყრდნობა საზოგადოების ჯანსაღ პოლიტიკურ ბირთვს, აქვს მოქმედების საკუთარი პროგრამა, შეუძლია ექსტრემიზმის ნეიტრალიზაცია, გარდაქმნის კონსტრუქციული ხელმძღვანელობის უზრუნველყოფა, განაგრძოს ჩვენი ცხოვრების რადიკალური განახლება. მაგრამ ეს ერთი პირობით, თუ ხალხს კარგად ეცოდინება, რომ გარდაქმნა დაიწყო მოსკოვში, რომ გარდაქმნა დაიწყო პარტიამ, და ადგილებზე იგი შეიძლება წარმატებით გაგრძელდეს მხოლოდ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მხარდაჭერით.

ესტონელი ხალხი თავიდანვე მხურვალედ გამოეხმაურა გარდაქმნას, მასში დაინახა თავისი ცხოვრების გაუმჯობესებისა და ეროვნული აღორძინების რეალური შესაძლებლობა. მთელი გარკვეულობით მინდა ვთქვა — და ეს ცხადყო ჩვენმა ამასწინანდელმა პარტიულმა პლენუმმა, — ვხედავთ ჩვენს შემდგომ წინსვლას მხოლოდ მთელი ქვეყნის გარდაქმნის ძალებთან მჭიდრო კონსოლიდაციით. სუვერენული ესტონეთი საბჭოთა ხალხების განახლებულ ფედერაციაში — ასეთია ჩვენი მიზანი.

ვიზიარებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წუხილს, რომელიც გამოხატულია განცხადებაში ბალტიისპირეთში შექმნილი ვითარების, აქ გარკვეული სეპარატისტული ძალების მოქმედების, პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზაციის გამო. მაგრამ, რაკი ვლაპარაკობთ პარტიულ ნდობაზე, ალბათ, უკეთესი იქნებოდა, რომ ჩვენ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ხელმძღვანელებს, მონაწილეობა მიგვეღო ამ დოკუმენტის შედგენაში.

და როცა ამის შემდეგ, ჩნდება გარკვეული ტალღა ცენტრალურ პრესაში, ტელევიზიით, მაშინ იქმნება ესტონეთის ნეგატიური სტერეოტიპი, ამან კი შეიძლება კიდევ უფრო გაამწვავოს პოზიცია. ესტონელებს გვაქვს ასეთი ანდაზა: „საკუთარი თვალი, მეფეაო". ყოველთვის უნდა მიხვიდე, ნახო, გაიგო, თანაუგრძნო, ზოგჯერ კი გქონდეს იმის მოსმენის უნარიც, რასაც სხვა გეტყვის.

სწორედ ასეთი კონსტრუქციული და ნდობით აღსავსე იყო ამასწინანდელი შეხვედრა სკკპ ცენტრალურ კომიტეტში მ. ს. გორბაჩოვთან ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკის ხელმძღვანელებისა. დავინახეთ ჩვენი პრობლემებისა და მოქმედების გაგება, გულახდილად გამოვხატეთ საკუთარი პოზიციები, მოვისმინეთ ჩვენი ხარვეზებისა და ნაკლოვანებების სამართლიანი კრიტიკა. ასეთი ამხანაგური, პრინციპული უნდა იყოს ყოველთვის სჯა-ბაასი ჩვენს პარტიულ სახლში. მუქარა, გალიზიანება, უნდობლობა გუშინდელი დღის არსენალიდანაა. კვლავაც რომ ვაშენოთ სამართლიანი სახელმწიფო, ვერავითარ შემთხვევაში გვერდს ვერ ავუვლით უმნიშვნელოვანეს საკითხს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში ერის როლის შესახებ. ჩვენ პირველად მრავალი ათწლეულის შემდეგ აშკარად ავლაპარაკდით ეროვნებათშორისი ურთიერთობის მწვავე პრობლემებზე, და თავი იჩინა იმედმა დაბრუნებულმა კვანძმა, რომ ზოგ-ზოგებს იმის ნაცვლად, რომ გახსნან ისინი, სურთ კვლავ მოაჯახუნონ კარი და დაუბრუნდნენ გარეგნული კეთილდღეობის წინანდელ „იდილიას". მაგრამ უკან დასაბრუნებელი გზა უკვე მოჭრილია. ეროვნული ურთიერთობის ძირეული გარდაქმნა ერთადერთი შესაძლო გზაა ხალხთა შორის ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთგაგებისაკენ, ეს მკაფიოდ და ზუსტად არის ნათქვამი ცენტრალური კომიტეტის პლატფორმაში.

ჩვენ ისეთი კავშირი უნდა ავაგოთ, რომ იქიდან გამოსვლის სურვილი არავის არ დაებადოს. სეპარატიზმზე მაშინ ლაპარაკიც კი არ იქნება. ჩვენი საერთო მოვალეობაა ქვეყანა გავხადოთ ისეთი, სადაც ყველა ხალხს — მრავალრიცხოვანსაც და მცირერიცხოვანსაც — კარგად ეცხოვრება, სადაც თითოეულ ხალხს ექნება თავისი საიმედო სახლი, დოვლათი და წესრიგი, რომელსაც თვითონ უზრუნველყოფდა პატრონის უფლებით. აი რატომ ვუჭერთ მხარს რესპუბლიკის სუვერენიტეტს და ველარ წარმოგვიდგენია უამისოდ ჩვენი მომავალი.

უნდა ვიფიქროთ, ერთი შეხედვით ასეთ უბრალო საგანზეც. თუ სსრ კავშირი ძველებურად წარმოუდგენიათ რაღაც საერთო სახლად, რომელშიც ყოველ ხალხს თავისი ოთახი ან კუთხე ექნება, ეს მაინც საერთო საცხოვრებლის ნაკლებად მიმზიდველი სახეა. ჩვენი ახალი საბჭოთა სახლი უნდა აიგოს ახალ საძირკველზე, უნდა ჰქონდეს ფართო ფანჯრები, რომლებიც ყველასათვის ღია იქნება.

ერი კაცობრიობის არსებობის ფუძემდებელი ფორმაა, ფესვები გადგმული აქვს შორეულ წარსულსა და თვალსაწიერ მომავალში, ეროვნული კულტურა კი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ყალიბდება, საზრდოობს თაობათა გამოცდილებით, — ეს ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საფუძველია. სწორედ ერები და ხალხები და არა უფორმო ადამიანთა მასა არის ისტორიის სუბიექტები. მათი მთლიანობის დარღვევას გარდუვალად მოსდევს ზნეობის დაცემა, კულტურის დეფორმაცია, ყოფითი გარემოს ხელმიშვებულობა, ეკოლოგიური ანომალიები და, ბოლოს, უძრაობა.

აქედან გამომდინარეობს თითოეული ერისადმი დიფერენცირებული მიდგომის, მათი განვითარების მრავალვარიანტულობის აღიარების საჭიროება. ქვეყნის ეკონომიკის ხანგრძლივი ექსტენსიური განვითარების შედეგად ადამიანთა უზარმაზარი მასები მოსწყდნენ თავიანთ მშობლიურ ადგილებს. ეს ბევრად იყო უაზრო და დამანგრეველი პროცესი, რომელიც ზოგჯერ დღესაც გრძელდება.

ამის შედეგად გვაქვს უკაცრიელი სოფლები და უდღეისო, ჭარბმოსახლეობიანი ქალაქები. დაახლოებით 60 მილიონი კაცი თავისი ეროვნული რესპუბლიკების ფარგლებს გარეთ აღმოჩნდა, რომ არაფერი ვთქვათ მშობლიური ადგილებისაგან მოწყვეტაზე, რასაც არ შეიძლებოდა გარკვეული დაძაბულობა არ წარმოექმნა. ქვეყნის ბევრ რეგიონში მიგრაციის კრიტიკული ზღვარი, რის შემდეგ ხდება ცხოვრების ტრადიციული ყაიდის არასასურველი დესტაბილიზაცია, მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია.

ერთი თაობის თვალწინ ესტონელთა წილი ჩვენს რესპუბლიკაში 92 პროცენტიდან 60 პროცენტამდე დაეცა და კვლავ კლებულობს. შეიძლება თუ არა, გეკითხებით, ერი გულგრილად ეკიდებოდეს ასეთ პროცესებს? და განა შეიძლება არ გაიზიარო მისი მომავლის გამო წუხილი?

ახლა, თქვა მან შემდეგ, ჩვენ მთავარ მეცადინეობას ვახმართ ეკონომიკას, რესპუბლიკურ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლას, მეურნეობრიობის ახალი მექანიზმის დახვეწას. მან ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ ემზადებიან ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯისათვის.

სამეურნეო ანგარიშის მექანიზმი ეფექტიანად რომ ამუშავდეს, ჩვენი ურთიერთობა, თქვა ორატორმა, საკავშირო ორგანოებთან თავიდანვე უნდა დაეფუძნოს ზუსტ საფუძველს ყველაფერში. რაც შეეხება რესპუბლიკის საკუთრებას, მისი ბიუჯეტის ფორმირებას, ცენტრთან სახელშეკრულებო ურთიერთობას, რესპუბლიკის გამგებლობაში მთლიანი სამეურნეო კომპლექსის გადაცემას, თითქოსდა, კომიტეტებსა და კომისიებში ყველაფერი უკვე დათქმულია, მიღებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრინციპული გადაწყვეტილება, მაგრამ სხვადასხვა კაბინეტებში ზოგჯერ ყველაფრის დაწყება თავიდან გვიხდება. დრო კი გადის. რა თქმა უნდა, ცენტრალურ ორგანოებში ხელმძღვანელთა ნაწილი დიდი გაგებით გვეკიდებიან, და მინდა ვთქვა, რომ ასეთი გაგება საერთო უნდა გახდეს. ჩვენი სამეურნეო ანგარიშის კონცეფცია მეტად რადიკალურია, მაგრამ დარწმუნებული ვართ, რომ რადიკალური აუცილებლად იქნება მისი ზოგადი პრინციპებიც ქვეყნის სხვა რეგიონებისათვის.

სამეურნეო დამოუკიდებლობა, თქვა შემდეგ ორატორმა, ახლა ერთადერთი ალტერნატივაა ესტონეთისათვის. პოლიტიკური ფონი მეტად სერიოზულია, და ამიტომ მუნდირის ღირსებით არ უნდა ვხელმძღვანელობდეთ აქ. გარდაქმნას სჭირდება, უწინარეს ყოვლისა, დადებითი ძვრები ეკონომიკაში, და რაც შეიძლება უფრო სწრაფი.

ჩვენს რესპუბლიკაში მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლატფორმის დემოკრატიულ მიმართულებას, ეროვნული რესპუბლიკების სუვერენიტეტის განვითარების მისეულ გზას. მოდით, ვიყოთ ყურადღებიანი, რათა ამ უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტში წარსულის შეცდომების მილიგრამი რეციდივებიც კი არ აღმოჩნდეს.

ვფიქრობ, თქვა დასასრულ ორატორმა, რომ ამაში მოკრძალებული წვლილი იქნება ამ პლენუმისადმი ესტონეთის კომპარტიის თეზისებიც. ისინი ფართოდ განვიხილეთ პარტიულ ორგანიზაციებში, დავაზუსტეთ და შევავსეთ. ამ დოკუმენტში გამოხატულია ესტონელი ხალხის ნება, რომელიც თავის რესპუბლიკას მომავალში ხედავს, როგორც სუვერენულ რესპუბლიკას საბჭოთა ხალხების განახლებულ ფედერაციაში.

დღეს, თქვა თურქმენეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ს. ა. ნიაზოვმა**, ჩვენ უდიდესი სიამოვნებით მოვისმინეთ მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება, რომელშიც მკაფიოდ და პრინციპულად ჩამოყალიბდა პარტიის პოზიცია ბევრ მწვავე საკითხზე, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში წარმოიშვა. არ მინდა გავიმეორო, მაგრამ მიმაჩნია, რომ საჭიროა ერთხელ კიდევ აღვნიშნო ის უდიდესი პასუხისმგებლობა, რომელიც ჩვენს პლენუმსა და ყველა მის მონაწილეს გვეკისრება სწორ გადაწყვეტილებათა შემუშავებისათვის.

თანამედროვე პირობებში ეროვნული პოლიტიკის შესახებ პლატფორმის წარმოდგენილი პროექტი — ეს არის დოკუმენტი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს მთელი პროგრესული ძალების გაერთიანებას ეროვნებათშორისი ურთიერთობის ჰარმონიზაციის პრობლემის სამართლიანი გადაჭრისათვის. როგორც საფუძველი, როგორც ამოსავალი პუნქტი და ორიენტირი, იგი ნამდვილად პლატფორმაა. მას შეიძლება დავეყრდნოთ ეროვნული პოლიტიკის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებაში.

ისევე, როგორც წინა ორატორები, მეც მხარს ვუჭერ წინადადებას, რომ მიღებულ იქნეს შეტანილი დამატებებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი საფუძვლად. პროექტში პირველად არის წამოყენებული და საკმაოდ სრულად შემუშავებული გარდაქმნის და ახალი შინაარსით საბჭოთა ფედერაციის გამდიდრების პრინციპები, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და მასში შემავალი რესპუბლიკების მომავლისათვის.

სსრ კავშირის მომავალი, საბჭოთა ხალხების ნებაყოფლობითი კავშირის განმტკიცების, მათი ინტერნაციონალური შეკავშირების გაძლიერების საკითხი პარტიის ეროვნული პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე პრინციპული საკითხია. ჩვენ, კომუნისტები, პასუხს ვაგებთ ქვეყნის მომავლისათვის, სოციალიზმის ბედისათვის, რომელიც განუყოფელია ახლა გარდაქმნის წარმატებისაგან. დღეს ეს სიტყვები თვით ისტორიის პირით ნათქვამი გაფრთხილებაა. იგი პირდაპირ აყენებს საკითხს — უნდა მომხდარიყო თუ არა უკანასკნელი თვეების ამბები, ეროვნულ ასპარეზზე რომ გაიშალა, უნდა იყოს თუ არა ჩვენი ფედერაცია, ჩვენი კავშირი? დღეს მთელ რიგ ადგილებში ეროვნული თვითშეგნების ზრდა გახდა ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს არა ხალხთა დაახლოებას, არამედ გამიჯვნას.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისათვის მისი მიმართულების ფონზე მშობელ ქვეყანაში შექმნილი საქმის ვითარება პარადოქსულად გამოიყურება. ჩვენი ხალხების ისტორიული ბედის ერთობა, მრავალი წლის ერთობლივი მუშაობა, გამარჯვებანი და ძვრები, ყველა ხალხის საერთო ძალისხმევით შექმნილი ეკონომიკური პოტენციალი არ შეიძლება და არც უნდა შეეწიროს მსხვერპლად ვილაცის ამბიციებს, ვინც უნდა იყოს იგი, საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო — და ეს თურქმენეთის სსრ კომუნისტების, მთელი მოსახლეობის პოზიციაა — ჩვენ ერთგულად ვიცავთ 1924 წელს მიღებულ გადაწყვეტილებას სსრ კავშირის შემადგენლობაში შესვლის შესახებ და მტკიცედ გვჯერა, რომ მხოლოდ საბჭოთა ფედერაციის ფარგლებში შეიძლება გადავწყვიტოთ ჩვენ წინაშე მდგომი პოლიტიკური, ეკონომიკური და ეროვნული პრობლემები.

ვფიქრობ, რომ ამ საკითხში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პრინციპული პოზიცია შეიძლებოდა მკაფიოდ და არაორჭოფულად გამოგვეხატა ამ პლენუმის გადაწყვეტილებაში და ეროვნულ საკითხზე პარტიის პლატფორმაში.

მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტის გაფართოების შემოთავაზებულ კონცეფციას საფუძვლად უდევს კავშირის ფარგლებში მათი უფლებამოსილების მკაფიო სამართლებრივი გამიჯვნა, აგრეთვე რესპუბლიკების გადასვლა სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე.

ეს ერთადერთი სწორი მიდგომაა. ჩვენ ოპტიმიზმით შევყურებთ სამეურნეო ანგარიშის შესაძლებლობებს, შევუდექით ჩვენი მოდელის კონსტრუირებას. უკვე მომავალი წლიდან ჩვენი ნედლეულით დამზადებული საბოლოო პროდუქციის ღირებულების 40-მდე პროცენტი რესპუბლიკის ბიუჯეტში შევა. რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გამგებლობაში გადაეცემა საწარმოები, რომლებიც 60 პროცენტზე მეტ სამრეწველო პროდუქციას უშვებენ. ახლა ისინი 10 პროცენტს შეადგენენ. ახლებურად აიგება ურთიერთობა საკავშირო სამინისტროებთან.

ორატორმა მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ საჭიროა ყოველი რესპუბლიკის სასტარტო შესაძლებლობათა გათვალისწინება სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისას, და შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ თურქმენეთის ეროვნული შემოსავლის ნაწილი, რომელიც მსუბუქი მრეწველობის, ნავთობისა და გაზის ღრმა გადამუშავების დარგებშია გადატანილი, სხვა რესპუბლიკებში, მათ შორის ბალტიისპირეთის რესპუბლიკებშია. ეს უნდა გავითვალისწინოთ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლისას, და არ უნდა შევლახოთ ერთი რესპუბლიკის ინტერესები მეორის ხარჯზე.

თურქმენეთის სოციალური დონის ფაქტობრივ გათანაბრებას, თუნდაც საშუალო-საკავშირომდე მას აყავს ჯერ კიდევ ბევრი უკლია. ჩვენი ხალხი არანაკლებ შრომისმოყვარეა და მუყაითია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ხალხი, ჩვენს მიწას არ აკლია ბუნებრივი სიმდიდრეები. მიუხედავად ამისა მრეწველობის შეუწონასწორებელი განვითარება, სოფლის მეურნეობაში ბამბის ორიენტაცია გარკვეულ დროს და დახმარებას მოითხოვს მდგომარეობის რამდენადმე გამოსასწორებლად. ეს შეიძლება იყოს რეგიონალური პროგრამების მიზნობრივი კომპლექსები. საერთო-საკავშირო ბიუჯეტიდან ამ მიზნების, სუბსიდიების გამოყოფას არსებითად პოლიტიკური ხასიათი აქვს, რადგან რეგიონის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის სასიცოცხლო ინტერესებს შეეხება. ამასთან დაკავშირებით მინდა გამოვთქვა წინადადება, რომ პლატფორმის პროექტში გათვალისწინებულ ფონდის შექმნას იმ რაიონების მხარდასაჭერად, რომლებიც ჩამორჩებიან ეკონომიკურ განვითარებაში, აგრეთვე სტიქიურ უბედურებათა შედეგად დაზარალდნენ, პოლიტიკური ამოცანების კონტექსტით რამდენადმე ფორმალური, მე ვიტყოდი, შემთხვევითი ხასიათი აქვს. ეკონომიკურად ჩამორჩენილი რაიონების განვითარებაში დახმარება უნდა იყოს რეალური, დასაბუთებული, ქმედითი.

ორატორი შეეხო პლატფორმის სხვა ასპექტებს და აღნიშნა, რომ ყველა მათგანი მიზნად ისახავს საჭირო პირობების შექმნას ჩვენი ქვეყნის ხალხთა ენების, ეროვნული კულტურის, ტრადიციების ახალ საფუძველზე აღორძინებისათვის. ეროვნულის და ინტერნაციონალურის, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა სწორი შეხამება, პიროვნების უფლებათა პატივისცემა კარგ საფუძველს წარმოადგენს ადამიანთა და ხალხთა ურთიერთობის ჰარმონიზაციისათვის. ჩვენს რესპუბლიკას დღემდე არ მიუღია, არ განუხილავს ეროვნული ენის სახელმწიფო ენის სტატუსის შესახებ კანონის პროექტი. ამას იმიტომ კი არ ვშვრებით, რომ ჩვენში ენა შელახული არ იყოს, არამედ იმიტომ, რომ მივაჩნია: ეტაპების გადახტომა საჭირო არ არის. რესპუბლიკა დღეის არ არის მზად სახელმწიფო ენის სტატუსის მისაღებად, თუმცა მთელი რიგი რეგიონებიდან ჩამოდიან ჩვენთან და უნდათ დაიყოლიონ ჩვენი მეცნიერები, ინტელიგენცია დაუყოვნებლივ გააკეთონ ეს. ჩვენ გადავწყვიტეთ მივიღოთ როგორც თურქმენული ენის, ასევე ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა ხალხის ენების ფუნქციონირების განვითარების სახელმწიფო პროგრამა. შემდგომში კი გარკვეული მომზადების შემდეგ ჩვენ აგრეთვე მივიღებთ სახელმწიფო ენის სტატუსს. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იმ რესპუბლიკებში, რომლებმაც ასეთი სტატუსი მიიღეს, დადგა ეროვნებათშორისი საკითხები. ამიტომ, განაგრძო ს. ნიაზოვმა, უნდა მოვემზადოთ, რათა არ შევლახოთ რომელიმე ერის ინტერესი. მარტო ლოზუნგებით დღეს ეს საკითხი ვერ გადაწყდება. ქვეყნის საერთო-სახელმწიფო ენად რუსული ენის მიღება კი, პირიქით განმუხტავდა ვითარებას ყველა რესპუბლიკაში.

ეროვნული საკითხი კაცობრიობის ინტერნაციონალური გამოცდილების ნაწილს შეადგენს. ჩვენი ქვეყნის, და საერთოდ მსოფლიოს მომავალი ეკუთვნის ინტეგრაციას, ინტერნაციონალიზაციას ხალხთა თანასწორობის ნამდვილი სუვერენიტეტის პირობებში. სწორედ ეს არის პროგრესი ამ სიტყვის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობით. პლატფორმის პროექტში არის სხვა სადავო მომენტებიც, რომლებიც კი არ წყვეტს წინააღმდეგობებს, არამედ პირიქით, კიდევ მეტად აღრმავებს მათ. მე მხედველობაში მაქვს მოქალაქეობის, მისი ორმაგი ფუნქციის საკითხი. საბჭოთა კავშირი აერთიანებს ყველა ერის მშრომელებს, იცავს მშრომელთა ინტერესებს, ერის განურჩევლად, როგორც ვ. ი. ლენინი ამბობდა. მაშ საჭიროა სსრ კავშირის მოქალაქეს დაუმკვიდრდეს ორმაგი სტატუსი — საკავშირო და რესპუბლიკური? ხომ არ ვქმნით აქ ხელოვნურ სირთულეებს? და როგორღა დავიცავთ ჩვენი საბჭოთა მშრომელების ინტერესებს, თუ დავასახლებთ მათ ეროვნულ ბინებში?

ახლანდელი ანგარიშვება-არჩევნების დროს ჩანს, რამდენად იზრდება ქვემოდან მომთხოვნელობა ხელმძღვანელებისადმი მათ მიერ გაწეული მუშაობის შედეგებისათვის. პარტიული რიგების შემდგომი შეკავშირებისათვის, პარტიის ყველა რგოლის საქმიანობის განახლებისათვის საჭიროა მტკიცე გამიჯვნა, სკკპ რიგებიდან იმათი გარიცხვაც კი, ვინც დაიდგა ნაციონალისტურ პოზიციებს, ან თავისი პასიურობით, უპრინციპობით ასუსტებს პარტიული რიგების ერთიანობას.

ახლა ჩვენს ამოცანად მიგვაჩნია, რომ რესპუბლიკის თითოეული კომუნისტი იყოს ინტერნაციონალიზმის იდეების აქტიური განმხორციელებელი, ხელს უწყობდეს აქ მცხოვრებ ერთა და ეროვნებათა შეკავშირებას. ჩვენ მტკიცედ გვწამს: თუ არ იქნება ერთაშორის თანხმობა, ხალხთა მეგობრობა, არ იქნება არც ეფექტიანი წინსვლა სოციალიზმის განახლებისა და ხალხის ცხოვრების რეალური გაუმჯობესების გზით.

ღრმად ვარ დარწმუნებული, აღნიშნა პარტიის ჩეჩნეთ-ინგუშეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **დ. გ. ზავგაევმა**, რომ მთავარი, რაც დიდი ხნის განმავლობაში აკლდა ჩვენს მუშაობას ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფისათვის, — ეს იყო ნაყოფიერი, რეალისტური მეცნიერული კონცეფცია, რომელიც პრობლემის ლენინურ გაგებას დაეყრდნობოდა და თავს მოუყრიდა თანამედროვე პრაქტიკის გამოცდილებას. ახლა ეს მიდგომები განსაზღვრულია სკკპ პლატფორმაში. და მაინც იგრძნობა, რომ პრაქტიკულად ჩვენ აქ ჯერ კიდევ ვსარგებლობთ ცდებისა და შეცდომების მეთოდით: ან პირწმინდად უარვყოფთ აღნიშნულ სფეროში მიღწეულს, ანდა, პირიქით, მას ვაქებთ.

ცენტრალური კომიტეტის მოხსენება კონცეპტუალურია და შესაძლებლობას გვაძლევს სერიოზული განსჯისათვის. ჩვენს ქვეყანაში გამართულმა სკკპ პლატფორმის განხილვამ საშუალება მოგვცა ყურად გვეღო რეგიონების პრობლემები და ამასთანავე უფრო ღრმად ჩაგვეწვდომოდით ამ საკითხებში ზოგადისა და ცალკეულის დიალექტიკას. მაგალითად, ჩვენ მეზობლებთან ერთად, ყოველდღიური მუშაობის აქტივიზაციის გარდა, დაგეგმილი გვაქვს განვიხილოთ ჩვენი რეგიონის მთელი რიგი ეროვნებათშორისი პრობლემები. ვფიქრობ, როდესაც მუშებთან, გლეხებთან, ინტელიგენციასთან, პარტიულ და საბჭოთა აქტივთან, სასულიერო პირებთან ერთად შევიკრიბებით, ჩვენ შევძლებთ გადავწყვიტოთ ბევრი საკითხი, მათ შორის სოციალურ-ყოფითი, ენობრივი და სხვა საკითხები, რომლებიც დღესდღეობით ასე მწვავედ დგას. მე საერთოდ მიმაჩნია, რომ შინარეგიონულ და რეგიონს შორის დიალოგს ჩვენ სუსტად ვეწევით. ამასთანავე რეგიონების ურთიერთობა მეტწილად მომდინარეობს ეკონომიკის ამოცანებისაგან, და არა ადამიანისაგან. ვფიქრობ, რომ აქ უნდა იყოს საპირისპირო გზა, ადამიანისაგან — ეკონომიკისაკენ. ზოგიერთი რესპუბლიკის ეკონომიკური იდეები ჩვენთვის იმით არის მიმზიდველი, რომ ისინი საშუალებას აძლევენ ჩვენისთანა ავტონომიას თავად სერიოზულად ჩაუფიქრდეს იმას, თუ როგორ წარმართოს თავისი განვითარება და არა, უბრალოდ მისდიოს რეგიონისათვის დამკვიდრებულ სტერეოტიპებს. ფაქტობრივად ჩვენ ახლა ვდგავართ რესპუბლიკის ეკონომიკური მოდელის, მისი დღევანდელი და ხვალინდელი სიტუაციის შექმნის საჭიროების წინაშე. კავშირი ნაწილებისაგან იქმნება და როდესაც თითოეული მათგანის სტრუქტურა კარგად არის მოფიქრებული და ერწყმის ერთდროულად რეგიონულ და საერთო-საკავშირო კონტექსტს, უფრო ჰარმონიული ხდება რესპუბლიკისა და ცენტრის ურთიერთობა, და, შესაბამისად, ეროვნებათშორისი ურთიერთობა.

ჩვენ ახლა ვმუშაობთ რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მოდელის შესაქმნელად. და ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფის გზაზეც.

დღეს ჩვენს ქვეყანაში გაცხოველებით მიმდინარეობს რეგიონული სამეურნეო ანგარიშის იდეების განხილვა. უფრო მეტიც, ისინი აქტიურად ხორციელდება. შეიძლება გამოვყოთ ამ რთული პროცესის სამი „სართული": ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალურ-ფსიქოლოგიური. თუ ეკონომიკურ და პოლიტიკურ შედეგებს ჩვენ რაღაცნაირად „წინასწარ გამოვითვლით" და განვჭვრეტთ, სოციალურ-ფსიქოლოგიურ შედეგებს არასაკმაოდ ვაპროგნოზებთ და სუსტად ვმართავთ. არადა, ეს არის ადამიანთა გუნებაგანწყობილება, მისწრაფებანი, სოციალური გრძნობა. რეგიონული სამეურნეო ანგარიში უცილობლად გულისხმობს რეგიონების თანამოქმედების, უშუალოდ, და არა მხოლოდ ცენტრის მეშვეობით თანამოქმედების პრინციპულად ახალ ფორმებს. ეს გვკარნახობს რეგიონების თანამოქმედების სოციალურ ფსიქოლოგიური საკითხების მეცნიერული დამუშავების საჭიროებას.

უკანასკნელ ხანს, კერძოდ, სახალხო დეპუტატთა ყრილობაზეც ბევრი იყო კრიტიკა ეროვნებათშორისი ურთიერთობის ხელმძღვანელობის მიმართ. ახლა მთავარია სიტუაციის ანალიზი და კონსტრუქციული წინადადებანი, რომლებიც გვკარნახებენ გამოსავალს ჩიხიდან, მე ხაზს გავუსვამ — მოჩვენებითი ჩიხიდან.

ადამიანები, რომლებიც ამ ფაქიზ სფეროში ჩიხებს ქმნიან, აშკარად ეწევიან წარსულის ნეგატიური ტვირთის ექსპლოატაციას და ხელს უშლიან გარდაქმნას. აქ უნდა იყოს ნაკლები შავ-თეთრი ტონები, და პირიქით — თანამოქმედების გამის მუდმივი ძიება. მაგრამ როდესაც საზოგადოებაში დემოკრატიის იდეალებს ვავითარებთ, ჩვენ მტკიცედ უნდა ვიცავდეთ სოციალიზმის ფუნდამენტურ ღირებულებებს, ჩვენს საზოგადოებას რომ მოუპოვებია. მიმდინარეობს ნორმალური რევოლუციური პროცესი, რომელიც მოითხოვს საზოგადოებისა და პიროვნების პოლიტიკური ინტერესების დაცვას. თორემ ზოგჯერ პოლიტიკური ავანტიურისტები, სარგებლობენ რა ჩვენი გაუბედაობით, გამოდიან ტონის მიმცემებად, რაც ხელს უშლის ახალი ურთიერთობისა და საზოგადოებრივი სტრუქტურების თანამიმდევრულ განვითარებას, იწვევს ადამიანთა დეზორიენტაციას და წარმოშობს არასტაბილურობის შეგრძნებას. ჩვენ მოვითათბირეთ საოლქო პარტიულ ორგანიზაციაში, და მიგვაჩნია, რომ პარტია უფრო გაბედულად და მედგრად უნდა იბრძოდეს თავისი იდეალებისათვის — სხვა გზა არ არის. ორატორი შეეხო ეროვნებათშორისი ურთიერთობის მდგომარეობის შეფასების სირთულეს და აღნიშნა, რომ აქ გავლენას ახდენენ არა მარტო პოლიტიკური, არამედ აგრეთვე სამეურნეო, საკადრო გადაწყვეტები. ქვეყანაში მოქმედი სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების მთელი კომპლექსი, აღნიშნა მან, ეს არის ეროვნებათშორისი ურთიერთობის რთული ინფრასტრუქტურა. სიტყვამ მოიტანა და ჩეჩნეთ-ინგუშეთში არ ჩაუხვევიათ ბოღმა ყაზახ ხალხზე, რომლის ცალკეულმა წარმომადგენლებმა ფაქტობრივად გამორეკეს ჩვენი თანამემამულენი ნოვი-უზენიდან. ეს არის არა ეროვნებათშორისი ურთიერთობის, არამედ შეუწონასწორებელი სოციალური პოლიტიკის საკითხი, პოლიტიკისა, რომელიც იქ წყდება, სადაც წვრილია. ჩვენ გვახსოვს როგორ გვეხმარებოდნენ ყაზახი და სხვა ხალხები უმძიმესი გადასახლების დროს, და მაშინ ეს ურთიერთობა ნამდვილად იყო ეროვნებათშორისიც და უბრალოდ ადამიანურიც.

ეროვნებათშორისი ურთიერთობა ოჯახივითაა: როდესაც მატერიალური გაჭირვებაა და ყოფა მოუწყობელია, სწორედ მაშინ წამოიჭრება ხოლმე კონფლიქტები, რა ვქნათ, ამის გამო გამოვაცხადოთ ქვეყანაში „ეროვნებათშორისი გაყრა" თუ განვამტკიცოთ საბჭოთა ხალხების ოჯახი და გადავწყვიტოთ ყველა დაგროვილი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა?

არსებობს უამრავი სულიერ-კულტურული ფაქტორი, რომლებიც ეროვნულ თვითშეგნებას აყალიბებენ, და მათ უნდა ვხედავდეთ, უნდა ვითვალისწინებდეთ ყოველდღიურ მუშაობაში, კი არ ვაწებებდეთ იარლიყებს როგორც ეს წინათ იყო.

ორატორმა კონკრეტული მაგალითებით ცხადყო, თუ რამდენად საჭიროა მოფიქრებული, აწონ-დაწონილი მიდგომა ეროვნებათშორისი ურთიერთობის სფეროში მომხდარი ამბებისადმი.

ჩვენ ზოგიერთი რეგიონული და საკავშირო პრობლემის გადაჭრისას მოგვდის უკვე ნაცნობი შეცდომები და მათ შორის მთავარია ამა თუ იმ პროცესის პასუხსაგები ეტაპების თავზე გადახტომა. ასე იყო, როდესაც „მთლიანად გადავწყვიტეთ ეროვნული საკითხი". ახლა კვლავ ვიჩენთ სულსწრაფობას და ამჯერად რამდენიმე საფეხურს ერთად ვახტებით. მე მხედველობაში მაქვს მთელი რიგი რესპუბლიკების გადაწყვეტილებანი დედაენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ. ეს აუცილებელია, მაგრამ თუ ასეთი გადაწყვეტილება „ზალპით" არის მიღებული და წინ არ უძღოდა გრძელვადიანი ეტაპობრივი პროგრამის განხორციელება, იგი კვლავ გამოიწვევს გართულებებს, აქ უნდა მოვიგერიოთ გავლენა მარცხნიდანაც და მარჯვნიდანაც.

ჩვენმა რესპუბლიკამ საკუთარი გამოცდილებით იწვნია დედაენის განვითარების ყველა სიძნელე. ახლა ამ მდგომარეობას ვასწორებთ. მაგრამ ხშირად დავფიქრებულვარ: ხომ არ ვილარიბებთ თავს ენობრივი ლოკალიზაციით. ხომ არ გართულებს ზოგან ესოდენ კატეგორიული ფორმით მიღებული კანონები ენის შესახებ რესპუბლიკების სრულფასოვან თანამოქმედებას? ენის მთავარი ფუნქცია უნდა გახდეს ეროვნული კულტურის, ლიტერატურის, აღზრდის განვითარება, და არა სამსახურებრივი ქაღალდების შექმნა, ვინაიდან ამ უკანასკნელთ არასდროს არ შეუქმნიათ ეროვნული კულტურა. რეალური სურათი რეგიონებში ისეთია, რომ მოსახლეობა მრავალენოვანია და ერთი ენის მყისიერი გასახელმწიფოებრიობა უნებლიედ დააშორებს ადამიანებს ერთმანეთისაგან. არადა, თვით ენობრივი პოლიტიკის მეშვეობით უნდა შევქმნათ დაახლოების შესაძლებლობა, მათ შორის, ორენოვნობის განვითარებით.

მეცნიერებმა ამ დარგში სერიოზულად უნდა იმუშაონ. ენა ხომ ხალხის თავისთავადი რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა და ამ ფაქიზ სფეროში უნდა ვეძებოთ მეტი თანამშრომლობა, ვიდრე ალტერნატივები, ვხედავდეთ ორენოვნობის რთულ დიალექტიკას, და არა, ვაყენებდეთ ენობრივ ულტიმატუმებს.

მეორე, უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა, თქვა ორატორმა, ეს არის რესპუბლიკებსა და ავტონომიებში მიმდინარე რეალური პროცესების ადეკვატური გაგება ცენტრის მიერ. და აქ მინდა გამოვყო მთელი რიგი მომენტები. დიდ კომპეტენტურობას ვერ დაიკვეხნიან ისინი, ვინც უმაღლეს პარტიულ ორგანოებს უყალიბებს წარმოდგენას ამა თუ იმ რეგიონში შექმნილი ვითარების შესახებ, მათ ვერ შეუგნიათ რეალური პასუხისმგებლობა ინფორმაციისათვის, რომელიც საფუძვლად უდევს მიღებულ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს.

ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებლობა სწორი და რეალური, გაუზვიადებელი და ალალმართალი ინფორმაციისათვის ძალზე დიდია და იგი კიდევ უფრო უნდა ამაღლდეს. აი, მაგალითად, ჩვენი ჩეჩნეთ-ინგუშეთი, რთული, დრამატული პოლიტიკური ბიოგრაფიის მქონე რესპუბლიკა. აქაურ ეროვნებათშორის ურთიერთობებს არც თუ იშვიათად დაძაბულს უწოდებენ. სირთულეები მართლაც მრავლად გვაქვს, მაგრამ რეალურ სიტუაციას სრულიად სხვა ფსიქოლოგიური ბუნება აქვს, რომელიც უნდა ვიცოდეთ და გავითვალისწინოთ. ეს არის რესპუბლიკის ძნელი ისტორია, რომელიც მოიცავს ხალხთა გასახლების ტრაგიკულ ფურცლებს, ეს არის სირთულენი, რესპუბლიკის აღდგენის შემდეგ რომ წარმოიშვა, სოციალური ხასიათის პრობლემები, მახსენდება რესპუბლიკაში 1973 წელს მომხდარი ამბები, რომლებსაც ინგუშთა ამბებს უწოდებენ. ისინი ხომ გამოწვეული იყო ადამიანთა რეალური სოციალური გაჭირვებით, და ბევრი პრობლემა აქ დღესაც არ გადაჭრილა. წელს, თქვა შემდეგ ორატორმა, რესპუბლიკაში მოეწყო იმათი ხსოვნის დღეები, ვინც სტალინურ გადასახლებაში დაიღუპა. ეს იყო ხალხის დიდი განწმენდა სიცრუის, მიჩუმათებისაგან, ეს იყო სიმართლე, რომელსაც ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნებათშორის ურთიერთობაში.

მეორე ასპექტი: იმის გამო, რომ არა გვაქვს ახალ პირობებში მუშაობის გამოცდილება, საკმარისი მომზადება, ჩვენ ზოგჯერ ადგილებზე ვცდილობთ ვიპოვოთ ეროვნებათშორისი ურთიერთობის განვითარების ახალი კონცეფცია, მოვაქციოთ იგი მმართველობის ძველ ყალიბებსა და სტერეოტიპებში, რომლებიც მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემისაგან მომდინარეობს, და ამით უნებლიეთ ვაფერხებთ ცენტრის ძალისხმევას.

დღეს სხვადასხვაგვარი აზრი გამოითქმის ეროვნებათშორისი ურთიერთობის განვითარების პერსპექტივაზე. მაგრამ მე ოპტიმისტი ვარ. ჩვენ მხოლოდ ახლა დავიწყეთ ნამდვილი მიზანმიმართული მუშაობა პრობლემის გადასაჭრელად, უარი ვთქვით ილუზიებზე. და ეს პირველი ნიშანია იმისა, რომ პრობლემა ქვეყანაში გადაიჭრება.

• • •

**20 სექტემბერს** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დილის სხდომაზე გაგრძელდა მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების განხილვა.

ეროვნულ საკითხზე პარტიის პლატფორმის პროექტის ღრმა და ყოველმხრივი განხილვა, აღნიშნა თავის გამოსვლაში უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ი. ა. ქარიმოვმა**, მოწმობს, რომ ხალხი მხარს უჭერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, [illegible] ეროვნებათშორისი ურთიერთობის სრულყოფისა და ახალ პირობებში საბჭოთა ფედერაციის მშენებლობის კურსს.

პლენუმზე მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის შინაარსიანი და კონსტრუქციული მოხსენება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ აუცილებელია ჩვენს ქვეყანაში ეროვნებათშორისი ურთიერთობის ჩამოყალიბებაში, ეროვნული პოლიტიკის ლენინური ნორმებისა და პრინციპების შემოქმედებითი განვითარების დამკვიდრებაში, ხელოვნური დანაშრევებისა და დეფორმაციებისაგან მის განწმენდაში განვლილი გზის კრიტიკული ანალიზი.

როგორც ჩანს, დღეს პლენუმზე არცთუ ისე უპრიანია ღირსშესანიშნავ თარიღებზე, მით უმეტეს იუბილეებზე ლაპარაკი, მაგრამ არ შემიძლია არ გავაკეთო ეს. საქმე ეხება საკითხს, რომელსაც უშუალო დამოკიდებულება აქვს პრობლემასთან, დღეს რომ განვიხილავთ. მხედველობაში მაქვს ტაშკენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის მომავალი 70 წლისთავი. გავიხსენოთ, ამხანაგებო, მრისხანე ცხრაას ოცი წელი, როცა სიცივით და შიმშილით დატანჯულმა სამოქალაქო ომის ქარიცხლში გახვეულმა რუსეთმა უხვი დახმარების ხელი გაუწოდა თურქესტანის ხალხებს. სწორედ ამ მოლეულ წელს მოაწერა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა ხელი დეკრეტს შუა აზიის უნივერსიტეტის შექმნის შესახებ. სწორედ მაშინ გამოემართა ტაშკენტისაკენ სახელგანთქმული მეცნიერების მატარებელი თვალსაჩინო მეცნიერებით, მასწავლებლებით მოსკოვიდან, პეტროგრადიდან და რუსეთის სხვა ქალაქებიდან. ასეთი რამ, ამხანაგებო, დაივიწყებას არ ეძლევა.

ეს ძმური დახმარება არასოდეს წაიშლება უზბეკი ხალხისა და შუა აზიის ხალხების მადლიერი მეხსიერებიდან. აი ამიტომ ვემზადებით ასე აქტიურად ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის, რათა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვათ, რომ მხოლოდ საბჭოთა ხალხების ერთიან შეკავშირებულ ოჯახში შეგვიძლია გადავჭრათ წარმატებით საკითხები, რომლებიც თვით ცხოვრებამ და ჩვენი ურთიერთობის გარდაქმნამ დაგვიყენა. სხვა გზა უბრალოდ არა გვაქვს.

ამაზე ლაპარაკისას ძნელია, შეუძლებელიც უზბეკეთში, კერძოდ, ფერგანის ოლქში ბოლოდროინდელი მოვლენების შესახებ მასობრივი ინფორმაციის ზოგიერთი საშუალების გამოსვლის გაგება. დაუშვებელია, როცა ცალკეული ადამიანები, რომლებმაც არ იციან ჩვენი კონკრეტული პირობები, მრავალსაუკუნოვანი ისტორია, კულტურა, ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, აგრეთვე საკვანძო, რთული პრობლემები, ეს მოვლენები, რომ გამოიწვიეს, უბოდიშოდ კერებენ იარლიყებს მთელ [illegible] შავი საღებავით ხატავენ [illegible] თავს ბოლო ინსტანციის [illegible]ულებად თვლიან.

ვრცელ ტენდენციურ პუბლიკაციათა შორის, რომლებიც ამძაფრებენ ისედაც აფეთქებასაშიშ სოციალურ დაძაბულობას რესპუბლიკაში, ორატორმა დაასახელა ჟურნალ „ოგონიოკში" გამოქვეყნებული სტატია „დაბნელება". ასეთი პუბლიკაციები, მისი აზრით, კი არ ადვილებენ, არამედ, პირიქით, აძნელებენ მწვავე მომწიფებული პრობლემების გადაჭრას, რომლებიც ბლომად დაგროვდნენ უზბეკეთში.

ჩვენ შორს ვართ აზრისაგან გავამართლოთ თვით ფერგანაში მომხდარ ტრაგიკულ მოვლენათა მიზეზები, ხაზი გაუსვა ი. ა. ქარიმოვმა, უფრო მეტიც, ჩვენ ასეთ ცდებს ვგმობთ და პოლიტიკურად მავნედ ვთვლით. ფერგანის ოლქის ამბები უწინარეს ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ჯეროვნად ვერ შევაფასეთ დაძაბული საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის გამწვავების საშიშროება, რაც გამოიწვია გარდაქმნის მოწინააღმდეგე კორუმპირებული და ნაციონალისტურად განწყობილი ელემენტების ცდებმა გამოიყენონ რესპუბლიკის უკიდურესად რთული სოციალურ-ეკონომიკური და მორალურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა ეროვნებათშორისი შუღლის გასაღვივებლად.

შემდეგ ორატორმა ილაპარაკა დასკვნებზე, რომლებიც რესპუბლიკაში გამოიქვეთ ფერგანის ამბებიდან.

უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თქვა მან, მკაცრი შეფასება მისცა ფერგანის ოლქის ტრაგიკულ ამბებს. დამნაშავეები მიცემული არიან პარტიულ და სისხლის სამართლის პასუხისგებაში და ეს პროცესი გრძელდება. რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა მტკიცე რწმენა, რომ ბრალეულები ვინც უნდა იყონ ისინი, რა ერსაც უნდა ეკუთვნოდნენ, მკაცრად უნდა დაისაჯონ და დაისჯებიან კიდეც, რათა ამიერიდან აღარავის გაუჩნდეს სურვილი ჩრდილი მიაყენოს უზბეკი ხალხის სახელს, რომელსაც ახასიათებს ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, კეთილმოსურნეობა, სიკეთე და სტუმართმოყვარეობა.

უზბეკი ხალხი ყოველთვის იყო, არის და იქნება ყველა საბჭოთა ხალხის ნამდვილი მეგობარი და ძმა.

შემდეგ ორატორი შეეხო პრობლემებს, რომლებიც ართულებენ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ სიტუაციას რეგიონში. უწინარეს ყოვლისა ეს არის მოსახლეობის დასაქმების საკითხი. რესპუბლიკაში დღეს მილიონამდე მობილური შრომითი რესურსია, რომელიც დასაქმებული არ არის საზოგადოებრივი წარმოების სფეროში. ამ მდგომარეობას ამძაფრებს მოსახლეობის ზრდის საშუალო-საკავშირო ტემპზე დაახლოებით სამჯერ სწრაფი ტემპი. ამასთან ამ ზრდას თან არ ახლავს ისეთი ობიექტების შესაბამისი მატება, რომლებიც სიცოცხლისუნარიანობას უზრუნველყოფენ: საცხოვრებლის, განათლების,

(გაგრძელება მე-4 გვ.)

# ლენინურ პრინციპებზე ეროვნებათშორისი ურთიერთობის ახალი თვისებებისათვის

(გაგრძელება)

ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო, კომუნალური ობიექტების მშენებლობა და სხვა მომსახურების განვითარება.

რედაქტორის მოადგილე
მ. უგრეხელიძე.

## ტელევიზია — შაბათი, 23 სექტემბერი

### თბილისი

**პირველი პროგრამა.** 9.40 — სახვითი ხელოვნება ჩვენს ეკრანზე. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ალდე კაკაბაძე". 10.00 — „ათლეტიზმი". 10.30 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.10 — „გახსენება". ალექსანდრე ალადაშვილი. 11.25 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.30 — „მღერის ჯაზ-ქორალი" (განმეორებით). 12.05 — სატელევიზიო კინოდარბაზი „ცისკარა". ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „სალამურას თავგადასავალი". 13.10 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 13.15 — მოსწავლეთათვის. „სოფელი დედაქალაქში". 13.50 — პოეზიის ხუთი წუთი. 13.55 — „აბრეშუმის ფასი". 14.20 — მულტიპლიკაციური ფილმი. 14.35 — ერთი სიმღერის ფესტივალი. 14.40 — „გლობუსი". 15.40 — საინფორმაციო გამოშვება. 15.50 — „სამხრეთის საზღვრების სადარაჯოზე". სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 16.40 — სახვითი ხელოვნება ჩვენს ეკრანზე. ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩემი ცხოვრების მიზანი". 19.00 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე. თბილისის „დინამო" — ერევნის „არარატი". რეპორტაჟი ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს" სტადიონიდან. შესვენებისას (19.45) ძილისპირული. 20.45 — მოამბე. 21.20 — სახვითი ხელოვნება ჩვენს ეკრანზე. „ჩვენ ვეძებთ ფიროსმანს". (გადაცემა მეხუთე). 22.00 — „ვრემია". 22.40 — ქართული სატელევიზიო მრავალსერიიანი მხატვრული ფილმი „დათა თუთაშხია". I და II სერია.

### მოსკოვი

**პირველი პროგრამა.** 7.30 — „120 წუთი". 9.30 — ჩვენი ბაღი. 10.00 — ადამიანის ინსტიტუტი. 11.00 — მექსიკელი მხატვრის რუფინო ტამაიოს შემოქმედება. 11.45 — წყაროები. 12.00 — ობიექტივი. 13.10 — უსაფრთხო მოძრაობისათვის. 13.40 — სოციალიზმის ქვეყნებში. 14.30 — გადავიდეთ ზამთრის დროზე. 14.40 — ფილმი — ბავშვებს. 15.45 — ფილმ-კონცერტი. 16.25 — მულტფილმი. 16.35 — თანამედროვე ქალი. 17.55 — ცხოველთა სამყაროში. 18.55 — დოკუმენტური ფილმი „ამხანაგი ამერიკელი მილიონერი". 20.05 — დღეს არენაზე. 20.25 — რეჟისორ ვ. ჟალაკიავიჩიუსის ფილმები. მხატვრული ფილმი „მომიტევეთ, თუ შეიძლება". 22.00 — „ვრემია". 22.40 — საზრიანთა კლუბი — 89. 0.25 — მუსიკალური პროგრამა.

**მეორე პროგრამა.** 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 — სოფლის საათი. 10.20 — გამოდის ანსამბლი „შრომითი რეზერვები". 10.55 — მოკავშირე რესპუბლიკების კინოპუბლიცისტიკა. 11.15 — პროგრესი. ინფორმაცია. რეკლამა. 11.45 — სპორტი ყველასათვის. 12.10 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „კვალი დედამიწაზე". 13.30 — კონცერტი. 14.10 — „ტარასის გზა-ბილიკები". მესამე გადაცემა. 15.05 — საბჭოთა კულტურის ფონდის საქველმოქმედო საღამოები. გეპატიჟებიან ვ. სპივაკოვი და „მოსკოვის ვირტუოზები". 16.05 — მხატვრული ფილმი „უჩინო". I სერია. 17.15 — ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. 18.00 — საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო გვატყობინებს. 18.10 — მულტფილმები. 18.40 — დოკუმენტური ფილმი „ყველაფრისათვის პასუხს ვაგებთ". 20.05 — რაკურსი. განვიხილავთ ფილმს „ყველაფრისათვის პასუხს ვაგებთ". 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!". 21.15 — ძალოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ბ. ბრეხტი. „გინდ ეს ჯარისკაცი ყოფილა, გინდ ის". ფილმ-სპექტაკლის პრემიერა. 0.50 — ექო: ერთი კვირის ამბები. 1.00 — კრივი. მსოფლიო ჩემპიონატი.

## „საზაფხულო" დროის მოქმედების პერიოდის დამთავრების შესახებ

სსრ კავშირის ერთიანი დროისა და ეტალონურ სიხშირეთა სახელმწიფო კომისია გვაუწყებს, რომ 24 სექტემბერს მთავრდება 1989 წლის „საზაფხულო" დროის მოქმედების პერიოდი.

ამასთან დაკავშირებით 1989 წლის 24 სექტემბერს 3 საათზე საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე საათის ისრები ერთი საათით უკან უნდა გადავწიოთ.

(საქინფორმი).

## ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა უნალექოდ, აღმოსავლეთის ქარი 9-14, ზოგან 17-22 მეტრი წამში, ტემპერატურა — ბარში 23-28, მთაში 20-25, მაღალმთიანეთში 11-16 გრადუსი.

აღმოსავლეთ საქართველოში, — მშრალი ამინდი, სუსტი ქარი, ტემპერატურა — ბარში 21-26, მთაში 17-22, მაღალმთიანეთში 14-19 გრადუსი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 68434 უე 07204 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის ქ. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14